პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ორშაბათი 3 ივლისი 1939 წ.
№ 150 (5550)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს გაზეთში

მუდამ ვიყოთ მასების ავანგარდში (მოწინავე)
ღირსეულად შევხვდეთ კოლმეურნეთა ყრილობას—საქართველოს სსრ გორის რაიონის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა წერილი (1-ლი გვ.)
საბჭოთა კონტროლის კომისიაში (1-ლი გვ.)
მარქსიზმ - ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელთა სრულიად - საკავშირო თათბირი (1-ლი გვ.)
პარტიული ცხოვრება: პარტიაში მიღება დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა (მე-2 გვ.).
სწორად ჩავატაროთ საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა (მე-3 გვ.)
ჟორჟ-ზანდ (მე-4 გვ.).
უცხოეთში:
საფრანგეთის მთავრობის სხდომა (მე-4 გვ.)
საფრანგეთ - ინგლისის სავაჭრო მოლაპარაკება (მე-4 გვერდი)
პოლონეთ - ლიტვის ეკონომიური ურთიერთობა (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ ვიყოთ მასების ავანგარდში

დიადი და წარმტაცია დღეები მესამე სტალინური ხუთწლედისა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი მუშათა კლასი და გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენციასთან ერთად, შეიარაღებული საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, შევიდა თავისი ისტორიული ბრძოლის ახალ ხანაში — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებზე ფართოდ გაიშალა მასების ყოვლისმძლე მოძრაობა — მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

ახალ ვითარებაში კიდევ უფრო იზრდება ჩვენი პარტიის როლი, როგორც კომუნიზმის მშენებელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი ძალისა. პარტია ამ დიდი არმიის ავანგარდს წარმოადგენს.

პარტიული ცხოვრების უმაღლესი კანონი — საკ. კ. პ. (ბ) წესდება, თვითეულ კომუნისტს ავალებს „იყოს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვის ნიმუში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ ამაღლებდეს თავის საწარმოო, საქმიან კვალიფიკაციას". ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს სწერდა, რომ „პარტიის წევრები ყველაზე წინ უნდა იყვნენ შრომის დისციპლინისა და ენერგიის მხრივ".

ამჟამად ჩვენი განვითარების ახალ ხანაში, განუზომლად იზრდება თვითეული კომუნისტის როლი და პასუხისმგებლობა. ბოლშევიკმა თავისი პირადი მაგალითით უნდა დარაზმოს და გაიყოლიოს მასები. ამას იგი მიაღწევს მაშინ, როდესაც უპარტიო მშრომელები მასში დაინახავენ ყველაზე გამოწრთობილ, ყველაზე მტკიცე, ყველაზე დისციპლინიან მებრძოლ-მშენებელს.

შეიარაღებულნი კომუნიზმისათვის ბრძოლის ნათელი პროგრამით და მძლავრი ორგანიზაციული იარაღით — საკ. კ. პ. (ბ) ახალი წესდებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების ბრძოლას მესამე ხუთწლედის დიად ამოცანათა განხორციელებისათვის. მთელმა რიგმა საწარმოებმა უკვე წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი და მეორე კვარტალის საწარმოო გეგმები, ენერგიულად გაიშალა ბრძოლა სოფლად უხვი მოსავლის აღებისათვის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საწარმოო მაჩვენებლები განსაკუთრებით მაღალია იქ, სადაც მკვეთრად ჩანს კომუნისტების ინდივიდუალური და კოლექტიური თაოსნობა, სადაც კომუნისტები თვით არიან სტახანოველები, უნარიანი ორგანიზატორები, გაბედული ნოვატორები. ასე ითქმის, მაგალითად, თბილისის ავტო-სარემონტო ქარხანაზე. აქ თითქმის ყველა კომუნისტი, რომელიც კი საამქროში მუშაობს—სტახანოველია. გასულ წელს ქარხანა ყოველ კვარტალში შეკეთებიდან უშვებდა 410 ავტომანქანას. წელს მას დაევალა ყოველთვიურად 300 ავტომანქანის შეკეთება. კომუნისტები ენერგიულად შეუდგნენ გაზრდილი საწარმოო გეგმის შესრულებას და გაიმარჯვეს კიდეც; მაისში საწარმოო გეგმა უკვე 145,2 პროცენტით იქნა შესრულებული. კომუნისტების თავდადებული მუშაობის გავლენით სტახანოველთა რიცხვი ქარხანაში თითქმის ერთი-ორად გაიზარდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან და ყველა კომუნისტი როდი ასრულებს ავანგარდულ როლს. მაგალითად, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს პარტიულ ორგანიზაციაში მიწისქვეშა სამუშაოებზე 41 კომუნისტიდან მხოლოდ 23 სტახანოველია. აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა აქ სამუშაოდ გამოგზავნეს 35 კომუნისტი, მაგრამ მათგან მაღაროებში მხოლოდ 13 კაცი დარჩა. თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობაზე, სადაც 400-მდე კაცი მუშაობს, 25 კომუნისტიდან მხოლოდ ერთია უშუალოდ მშენებლობაზე, დანარჩენები, პარტბიუროს მდივნის ამხ. გვენცაძის ჩათვლით, კანცელარიებში სხედან. ამ უაღრესად მნიშვნელოვან მშენებლობაზე, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი მოლოტოვი თავის მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, სრულებით არ იგრძნობა ბოლშევიკური ორგანიზებულობა. აქ დღემდე არ უფიქრიათ სოციალისტური შეჯიბრების გაშლაზე. აი რაშია იმის ნამდვილი მიზეზი, რომ მშენებლობა დაუშვებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

განსაკუთრებით დიდია კომუნისტების, როგორც ავანგარდული ძალის, როლი და მნიშვნელობა სოფლად. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარება მთლიანად დამოკიდებულია სოფლის კომუნისტების უნარზე — დარაზმონ და გაიყოლიონ კოლმეურნეთა მასა კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში. როგორც ჩანს, სოფლის პარტორგანიზაციებში ყველგან როდი სთვლიან სავალდებულოდ, რომ კომუნისტი საკოლმეურნეო დისციპლინის სანიმუშო დამცველი და თავდადებული მუშაკი იყოს. სოფელი პირველ სვირის (ზესტაფონის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტიულ ორგანიზაციაში 12 კომუნისტიდან მხოლოდ 4 მუშაობს სტახანურად. 3 კომუნისტს დღემდე კოლმეურნეობაში ერთი შრომა დღეც არა აქვს გამომუშავებული, მაგრამ რატომღაც მათი პარტიულობის საკითხი დღემდე არ გამხდარა პარტორგანიზაციის მსჯელობის საგნად.

კომუნისტების ავტორიტეტი, პირველადი პარტორგანიზაციების ავტორიტეტი პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ახორციელებენ კომუნისტები საწარმოში ავანგარდულ როლს.

ახლა, როდესაც საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭათ უფლება კონტროლი გაუწიონ ადმინისტრაციის საქმიანობას, პირველადს ორგანიზაციებს და რიგით კომუნისტებს მეტი საშუალება ეძლევათ გამოაჩინონ თავისი ინიციატივა, მაგრამ ეს ნიშნავს პასუხისმგებლობის გაზრდასაც. საწარმოთა პარტორგანიზაციების მთელი მუშაობა შეფასდება იმის მიხედვით, თუ როგორ შესძლებენ ისინი შეათავსონ პარტიულ - პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან, დარაზმონ სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის წარმოების მთელი კოლექტივი, იყვნენ ამ კოლექტივის ავანგარდში.

პარტიული ორგანიზაციების და თვითეული კომუნისტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მუდამ სათავეში ედგნენ მასების შეუპოვარ, თავდადებულ ბრძოლას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ამისათვის საჭიროა დავეუფლოთ პოლიტიკისა და მეურნეობის შეთავსების ბოლშევიკურ ხელოვნებას. ეს არის ახალ სახელოვან გამარჯვებათა საწინდარი.

ღირსეულად შევხვდეთ კოლმეურნეთა ყრილობას

საქართველოს სსრ გორის რაიონის კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა წერილი

ამ დიად დღეებში, როდესაც ჩვენ შევუდექით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სტალინურ გადაწყვეტილებათა შესრულებას,—ჩვენ გვინდა გაგიზიაროთ ჩვენი აზრები, განცდები, ის ახალი, რასაც ამჟამად ვხედავთ ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში.

ყველა სოფელში დაიწყო კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწების აზომვა.

ეს აზომვა ბოლოს მოუღებს იმ მდგომარეობას, როდესაც საზოგადოებრივ ხარჯზე გამორჩენის მოყვარულნი სარგებლობდნენ საზოგადოებრივი მიწებით და არ მუშაობდნენ კოლმეურნეობაში.

აზომვისათვის მზადების დროს ჩვენ ვამჟღავნებდით სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდების ჩვენში არსებულ დარღვევებს, ვამხელდით ზარმაცებს, წამგლეჯებს, მუქთახორებსა და სპეკულანტებს, რომლებიც პირადი მიზნებისათვის იყენებდნენ კოლმეურნის საპატიო სახელწოდებას.

ჩვენ ყოველნაირად ვეხმარებით მიწების ამზომავ კომისიებს, სავსებით ვუწყობთ მათ ხელს მათს მნიშვნელოვან მუშაობაში, ვცდილობთ, რომ ჰექტარის ერთი მეასედიც არ დარჩეს აუზომავი, რომ მიწის ერთი ნაკვეთიც ვერ დაუმალონ კომისიებს.

ყველა პატიოსანი კოლმეურნე დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო მიწების განიავებისაგან დაცვის შესახებ, მოსავლის აღებისა და დამზადებებისათვის მზადების შესახებ. ამ გადაწყვეტილებებში ჩვენ ვხედავთ სტალინურ მზრუნველობას ჩვენი კოლმეურნეობების უფრო მეტად აყვავებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის — საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და სიმაგრის ამ საფუძვლის უფრო მეტი განმტკიცებისათვის.

ამჟამად პატიოსან კოლმეურნეთა მთელი მასა აღსდგა საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების დარღვევათა გამოსწორებისათვის, კოლმეურნეობებში მტკიცე შრომის დისციპლინისათვის საბრძოლველად.

რომ შევხედოთ, როგორ მუშაობენ ჩვენი კოლმეურნეობები ამ ბოლო დროს, მაშინვე შევამჩნევთ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

უწინარეს ყოვლისა ბევრად იმატა კოლმეურნეთა გამოსვლამ სამუშაოზე. ძალიან ხშირად იმ ადამიანებმა, რომლებიც წინათ მონაწილეობას არ იღებდნენ საკოლმეურნეო წარმოებაში, წესიერად დაიწყეს გამოსვლა სამუშაოდ. აი, მაგალითად, სოფ. ქვემო-ახალსოფლის კოლმეურნეობა. აქ 60 კოლმეურნე წინათ სრულებით არ მუშაობდა, ახლა კი რეგულარულად გამოდის სამუშაოდ. ასევე ხდება ბევრ სხვა კოლმეურნეობაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის სტალინური გადაწყვეტილებანი გვეხმარებიან განვამტკიცოთ არტელური მეურნეობა, წესრიგი დავამყაროთ მიწათსარგებლობაში, თავიდან მოვიშოროთ ზარმაცები და მუქთახორები. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი გვასწავლიან როგორ ავიღოთ უფრო სწრაფად და უდანაკარგოდ უხვი მოსავალი, როგორ ჩავატაროთ უკეთესად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება.

საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების დაცვა, საკარმიდამო მიწების ზუსტი და სწორი აზომვა, მოსავლის აღების სანიმუშოდ ჩატარება საუკეთესო საჩუქარი იქნება კოლმეურნეთა ყრილობისათვის, რომელიც მოწვეული იქნება მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალს ფართოდ გაშალონ შეჯიბრება კოლმეურნეთა ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, იმისათვის, რომ ამ ყრილობის გახსნა აღნიშნონ ახალი წარმატებებით, ყრილობას შეხვდნენ საკოლმეურნეო წყობილების ახალი გამარჯვებებით.

ექსპონატები, რომლებიც ჩვენი რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა გაგზავნეს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე, ცხადჰყოფენ, თუ რა წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ.

ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში იმდენად გაიზარდა მოსავალი და შემოსავალი, რომ ყველა კოლმეურნემ აიშენა აგურის ახალი ფართო სახლები. ახალ სახლებში კარგი მოწყობილობაა: ნიკელის საწოლები, შიფონერები, წიგნის შკაფები. სოფელში უკვე მუშაობს ელექტროსადგური, შენდება წყალსადენი. ამ კოლმეურნეობის სტახანოველმა ქალმა შუშანა გიგაურმა გასულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღო 1.600 კილოგრამი მარცვალი, 1.200 კილოგრამი ბოსტნეული, 1.200 მანეთი ფული.

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე ნაჩვენები იქნება საქართველოს კოლმეურნეობათა წარმატებები და მიღწევები. მაგალითად, მიმდინარე წელს საქართველო საბჭოთა კავშირს მისცემს 43.100.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს—8.000.000 კილოგრამით მეტს, ვიდრე გასულ წელს. ასეულ მილიონობით განიზომება მანდარინის, ფორთოხლის და ლიმონის ის რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად იგზავნება საქართველოდან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. საქართველოს კოლმეურნეობები ყოველწლიურად ადიდებენ ისეთი კულტურების ფართობს, როგორიცაა ტუნგო, რომლის ნაყოფიდან ამზადებენ მრეწველობის მრავალი დარგისათვის საჭირო უძვირფასეს ზეთს; როგორიცაა ევკალიპტი, რომელიც იძლევა შესანიშნავ მერქანს და ეთეროვან ზეთს; გერანი, რომლის ფოთლები შეიცავენ საპარფიუმერო ნაწარმის დასამზადებლად საჭირო ზეთს. ჩვენი თამბაქოს პლანტაციები იძლევიან საუკეთესო ხარისხის თამბაქოს, ფართოდ ცნობილია საქართველოს ვენახების პროდუქცია.

ყველა ამ წარმატებას ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი მშობლიური, დიდი **სტალინის** მზრუნველობის, დახმარებისა და ყოველდღიური ყურადღების მეოხებით, მისი ერთგული მოწაფის, საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** ხელმძღვანელობით.

ჩვენ ვამაყობთ სარეკორდო მოსავლისათვის ბრძოლის ჩვენი მოწინავე ადამიანებით, გადმოგვაქვს მათი მუშაობის გამოცდილება, ვცდილობთ ვიმუშაოთ ისე, როგორც ისინი მუშაობენ. საქართველოს ყველა რაიონში პატივისცემით ახსენებენ ჩაის ფოთლის შესანიშნავ მკრეფავი ქალების ქ. სარსანიას და ქ. კილაძის სახელებს. ასობით კოლმეურნე მეხნობელები მუშაობენ სტახანოველ შ. გოგუაძის მეთოდით. ჩაის კრეფის ახალ-ახალ რეკორდებს ამყარებენ კოლმეურნე ქალები უ. ახუბა და ც. ქარდავა.

უკვე მეორე წელია, რაც საქართველოს კოლმეურნეობებსა და უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლმეურნეობებს შორის სწარმოებს შეჯიბრება. იგი დაიწყო მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში, როდესაც საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის არტელ „შრომის" კოლმეურნეთა ინიციატივით გაჩაღდა მეგობრული ყოველდღიური მიწერ-მოწერა მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა შორის. ამ მიწერ-მოწერაზე, შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებებზე საქართველოს კოლმეურნეობებმა უამბეს ამხანაგ **სტალინს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დაუვიწყარ დღეს მიწერილ წერილში.

სულ უფრო და უფრო იზრდება და ფართოვდება მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმული არიან რაიონები, კოლმეურნეობები, ბრიგადები, ცალკეული კოლმეურნეები, რომლებიც აწარმოებენ მუდმივ მიწერ-მოწერას ერთიმეორესთან.

გასული წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოვიდნენ უკრაინის კოლმეურნეთა წარმომადგენლები, რომლებმაც შეამოწმეს შეჯიბრების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებათა შესრულება.

ისინი იყვნენ გორში, სადაც ჩვენ მათ შევხვდით იმ პატარა სახლთან, რომელშიც დაიბადა დიდი **სტალინი**—მთელი მშრომელი კაცობრიობის სიამაყე, იმედი და სიხარული.

ამ დღეებში უკრაინის სსრ ტალალაევკის რაიონის წარმომადგენლები იყვნენ საქართველოს ზუგდიდის რაიონში, სადაც შეამოწმეს აღებულ ვალდებულებათა შესრულება და დასდეს შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

ეს შეჯიბრება, მიწერ-მოწერა და შეხვედრები ცხადჰყოფენ, თუ რა მტკიცე და ურყევია ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა. იგი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს კოლმეურნეებს, რომლებიც დაშორებული არიან ერთმანეთს ათასკილომეტრიანი სივრცეებით, მაგრამ შეერთებული არიან ერთი და იმავე ფიქრებით, ერთი და იმავე აზრებით, გრძნობებითა და მისწრაფებებით.

და შემთხვევითი როდია, რომ შეჯიბრების ყველა ხელშეკრულებაში, საწარმოო ვალდებულებებთან ერთად, ჩვენ შევიტანეთ ვალდებულებანი მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გაძლიერების შესახებ.

სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებით, ჩვენ თვითეულ კოლმეურნეობას გადავაქცევთ თავდაცვის ციხე-სიმაგრედ, დავეუფლებით სამხედრო ცოდნას, რომ მზად ვიყოთ ყოველ მომენტში მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს სამშობლოს დასაცავად ყოველგვარი მტრისაგან და გავსრისოთ მტერი მისსავე ტერიტორიაზე.

ამჟამად, როდესაც ჩვენ ვემზადებით კოლმეურნეთა ყრილობისათვის, შეჯიბრება კიდევ უფრო ფართოდ, კიდევ უფრო ძლიერად უნდა გაიშალოს. იგი უფრო მეტად დააახლოვებს საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეებს მათ ბრძოლაში კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის, პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელებისათვის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების უფრო მეტად განმტკიცებისათვის.

იგი კიდევ უფრო განამტკიცებს მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეთა დიად მეგობრობას, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს მათ პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, მშობლიური, საყვარელი **სტალინის** გარშემო.

წერილი განხილული და მიღებულია გორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (სოფ. ბერბუკი), კოლმეურნეობა „განთიადის" (სოფ. ხელთუბანი), III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის (სოფ. ქვედა-სკრა), კოლმეურნეობა „შრომის" (სოფ. ზემო-სკრა) და „სიმაგრის" (სოფ. ჯებირი) საერთო კრებებზე.

წერილს ხელს აწერენ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები: **შ. გიგაური, ა. გოდელაშვილი, დ. აბალაკი, გ. რუსიტაშვილი, ნ. გიგაური, ს. კუპატაძე, ა. მერებაშვილი, ე. აბალაკი, ვ. ჯანეზაშვილი, ქ. ფალელაშვილი, დ. ქველაძე, ლ. იაშვილი, ე. თანდიშვილი, ს. მერებაშვილი, ვ. ყოჩუაშვილი, რ. გაგნიძე, ი. აყოლაშვილი, ა. ქველაძე, კ. ანესაშვილი, ა. მარკოზაშვილი, ტ. კერდიკოშვილი, მ. ჯაფარიძე, გ. საური, კ. ელბაქიძე, რ. მამულაშვილი, ვ. ოქრუაშვილი, გ. მაზიაშვილი, გ. გასიტაშვილი, გ. ძამაშვილი, ი. მამულაშვილი და სხვ.**

საბჭოთა კონტროლის კომისიაში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიამ განიხილა ის საკითხი, რომ სსრ კავშირის მიწსახკომი, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატი და საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომსაბჭოს 1939 წლის 14 მაისის დადგენილებას „1939 წლის მოსავლის აღების კამპანიისათვის კომბაინებისა და ავტომანქანების რემონტის გეგმის შესახებ".

საბჭოთა კონტროლის კომისიამ გამოარკვია, რომ სსრ კავშირის მიწსახკომი და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატი კომბაინებისა და ავტომანქანების რემონტის გეგმას მეტად არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ. 20 ივნისისათვის კომბაინების შეკეთების გეგმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხაზით შესრულებულია 69,3 პროცენტით, ხოლო სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ხაზით—34,8 პროცენტით.

სსრ კავშირის მიწსახკომი და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატი დიდი დაგვიანებით შეუდგნენ კომბაინებისა და ავტომანქანების რემონტის გაშლას და კომბაინერების მომზადებას. სსრ კავშირის მიწსახკომის ზეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ვოვკმა მითითებანი იმის შესახებ, რომ კომბაინების რემონტის გეგმა დაყვანილი ყოფილიყო მტს-ებამდე, ადგილებზე გაგზავნა მხოლოდ 26 მაისს, მაშინ როცა სამხრეთ რაიონებში უკვე 5 ივნისისათვის რემონტი სავსებით უნდა დამთავრებულიყო. სსრ კავშირის მიწსახკომის მარცვლეულის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. საველიევმა არ უზრუნველჰყო კომბაინების რემონტის დროული გაშლა და კომბაინერების მომზადება. პოვოლჟიესა და ციმბირის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. კოლომიიცევს ივნისამდე არ მიუღია ზომები კომბაინების რემონტის გაშლისათვის საბჭოთა მეურნეობებში, რის შედეგად რემონტის გეგმა 20 ივნისისათვის შესრულებულია სულ 26,5 პროცენტით. ზოგიერთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში (ალტაის მხარე, კუიბიშევის, ჩკალოვისა და ნოვოსიბირსკის ოლქები) კომბაინებისა და ავტომანქანების რემონტის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია.

ავტომანქანების რემონტისათვის სამარაგო ნაწილების წარმოებისა და გადაგზავნის გეგმა მთელ რიგ უაღრესად დეფიციტური დეტალების ხაზით არადამაკმაყოფილებლად სრულდება საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის მიერ. 20 ივნისისათვის სტალინის სახელობის ავტოქარხანამ სამარაგო ნაწილების გადაგზავნის გრაფიკი 83,3 პროცენტით შეასრულა, მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანამ ბარბაცის მილისების გამოშვების გეგმა 25,2 პროცენტით შეასრულა, დგუშებისა — 62,2 პროცენტით და საზეთე რგოლებისა 67,2 პროცენტით. ქარხანა „კომუნარმა" დანიშნული ვადისათვის—20 ივნისისათვის—არ შეასრულა კომბაინების რემონტისათვის საჭირო სამარაგო ნაწილების წარმოებისა და გადაგზავნის გეგმა.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მიწსახკომისა და განსაკუთრებით სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის მიერ რემონტის საქმისადმი არადამაკმაყოფილებელმა ხელმძღვანელობამ გამოიწვია შეუწყნარებელი ჩამორჩენა კომბაინებისა და ავტომანქანების რემონტის გეგმის შესრულებაში.

რემონტის არათავისდროზე გაშლისათვის და კომბაინების რემონტის ხელმძღვანელობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის სარატოვის, კუიბიშევისა და ჩკალოვის ოლქებში სსრ კავშირის მიწსახკომის ზეთის მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ი. ვოვკს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. გამოეცხადა აგრეთვე საყვედური სსრ კავშირის მიწსახკომის მარცვლეულის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ბ. ვ. საველიევს იმის გამო, რომ ის სრულებით არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ოლქებში კომბაინების რემონტსა და კომბაინერებისა და კომბაინერების თანაშემწეთა მომზადებას. საბჭოთა კონტროლის კომისიამ გააფრთხილა ამხ. საველიევი, რომ თუ იგი უახლოეს დღეებში არ გამოასწორებს მდგომარეობას, მაშინ მის მიმართ გამოყენებულ იქნება სასჯელის უფრო მკაცრი ზომები.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარს ამხ. ლობანოვს დაევალა მკაცრი სასჯელი დაადოს პოვოლჟიესა და ციმბირის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსს ამხ. პ. ა. კოლომიიცევს საბჭოთა მეურნეობებში კომბაინების რემონტის თავის დროზე გაჩაღების ჩაშლისათვის.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ გააფრთხილა გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის დირექტორი ამხ. ი. კ. ლოსკუტოვი და მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხნის დირექტორის მოადგილე ამხ. ვ. ვ. ეფრემოვი, რომ, თუ ისინი უახლოეს დღეებში არ გააუმჯობესებენ სამარაგო ნაწილების წარმოებისა და გადაგზავნის საქმეს, მათ მკაცრი სასჯელი დაედებათ. საბჭოთა კონტროლის კომისიამ ცნობად მიიღო სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ზერნოვის განცხადება, რომ სამარაგო ნაწილების წარმოებისა და გადაგზავნის გეგმა მთლიანად შესრულებული იქნება 5 ივლისისათვის.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ ამხ. ბენედიქტოვს, ლობანოვსა და ზერნოვს დაავალა დეკადის ვადაში აცნობონ მას ამ დადგენილების შესრულება.

O

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიამ განიხილა აგრეთვე საკითხი მოსკოვსახლო მდებარე ქვანახშირის აუზის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ძალტრანსფორმატორებზე გაზვიადებული განაცხადის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის ელექტროსადგურთა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოში.

ელექტროსადგურთა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატმა, ნაცვლად 56.600 კილოვოლტამპერ ძალტრანსფორმატორებისა, რაც საჭირო იყო მოსკოვსახლო მდებარე ქვანახშირის აუზის ელექტროფიკაციისათვის, წარადგინა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოში გაბერილი განაცხადი 143 ათას კილოვოლტამპერზე.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ დაადგინა მოიხსნას სამუშაოდან „ვოლგოელექტროსეტსტროის" მთავარი ინჟინერი ვ. ვ. გულდენბალკი ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკისათვის, რაც გამოიხატა ძალტრანსფორმატორებზე აშკარად გაზვიადებული განაცხადების შედგენით. „ვოლგოელექტროსეტსტროის" მმართველს ამხ. ალექსანდროვსა და „გლავენერგოსტროის" უფროსის მოადგილეს ამხ. პ. მ. ტალაევს დაუსაბუთებელი განაცხადის წარდგენისათვის გამოეცხადა საყვედური. სკოპინის ქვესადგურის დაუსაბუთებელი განაცხადის დამტკიცებისათვის „გლავენერგოცენტრის" უფროსს ამხ. სპირინს მიეცა შენიშვნა.

ეკონომიურ საბჭოში საჭირო სიმძლავრის ტრანსფორმატორთა შესახებ არასწორი ცნობის წარდგენისათვის შენიშვნა მიეცა აგრეთვე ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ბოგატირიოვს.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ აღნიშნა, რომ ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. პერვუხინმა ეკონომსაბჭოში გაგზავნა ძალტრანსფორმატორებზე გაზვიადებული განაცხადი ისე, რომ არ ჰქონია გამორკვეული მათი ნამდვილი საჭიროება. (საკდესი).

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელთა სრულიად-საკავშირო თათბირი

1 ივლისს მოსკოვში გაიხსნა უმაღლეს სასწავლებელთა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების ხელმძღვანელთა სრულიად-საკავშირო თათბირი. მოხსენება უმაღლეს სკოლაში მარქსიზმ - ლენინიზმის სწავლების შედეგთა შესახებ გააკეთა უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ს. ვ. კაფტანოვმა.

— საბჭოთა უმაღლესი სკოლა, — ამბობს ამხ. კაფტანოვი, — დიდ პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის. ამხანაგ სტალინის ისტორიულმა გამოსვლამ უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში, ამხანაგ მოლოტოვის სიტყვამ უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველ სრულიად - საკავშირო თათბირზე, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა სტუდენტობა და პროფესორ - მასწავლებელთა შემადგენლობა აღაფრთოვანეს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად სასწავლო და სამეცნიერო - საკვლევო მუშაობაში. სტუდენტები უდიდესი ინტერესით შეუდგნენ „მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძვლების" კურსის შესწავლას.

ეს არის დამთავრდა საგაზაფხულო საგამოცდო სესია, რომელმაც დაგვანახვა, რომ სტუდენტების მომზადების დონე ამ კურსში მაღალია.

ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში აღნიშნულია კარგი და ფრიადი შეფასების 70-80 პროცენტი. 40 უმაღლესი სასწავლებლის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრების მუშაობის გამოკვლევა და 400-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებლის ანგარიშები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კურსის სწავლების პირველი ეტაპი დამაკმაყოფილებლად არის ჩატარებული.

უაღრესად მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც უზრუნველჰყოფს სწავლების წარმატებას, არის ლექტორთა შემადგენლობა. 1938 წლის 1 ოქტომბრისათვის უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ - ლენინიზმის 1232 მასწავლებელი ითვლებოდა, აქედან მხოლოდ 130 კაცს ჰქონდა პროფესორის ხარისხი და 739 კაცს —დოცენტის ხარისხი. ამ წლის განმავლობაში მასწავლებელთა კადრები შეივსო პარტიული და საპროპაგანდო მუშაობიდან მოსული ამხანაგებით. მიუხედავად ამისა, ლექტორთა კადრები ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია და ყოველთვის როდია მომზადებული თეორიულად.

დასასრულ ამხ. კაფტანოვმა შეკრებილთ მოუწოდა, დაუღალავად ამაღლონ თეორიული დონე, რათა შეასრულონ საბჭოთა სტუდენტობის პოლიტიკური აღზრდის პასუხსაგები ამოცანა.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი (საკდესი).

ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფი

ყინულმჭრელ „სედოვის" გემბანი, 1 ივლისი (საკდესის რადიო). ივნისში მოდრეიფე ყინულმჭრელ სედოვზე ბევრი რამ ახალი მოხდა. როგორც კაპიტანი ამხ. ბადიგინი იუწყება, ეკიპაჟი განსაკუთრებული დაძაბულობით მუშაობდა და დიდ წარმატებას მიაღწია.

1 ივლისს ყინულმჭრელის ადგილსამყოფელი შემდეგი იყო: ჩრდილოეთის განედის 85 გრადუსი და 25 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 78 გრადუსი და 30 წუთი. დღეს „სედოვის" კოორდინატები შემდეგია: ჩრდილოეთის განედის 85 გრადუსი და 25 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 63 გრადუსი და 0,3 წუთი. ამრიგად ყინულმჭრელი სულ ერთდაიმავე განედზე იმყოფება და დიდი სისწრაფით დასავლეთისაკენ დრეიფობს. მან გადასჭრა აღმოსავლეთის გრძედის 15 გრადუსი და 27 წუთი.

მთელი ივნისის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა 4 გრადუსზე ქვევით არ დაწეულა. უკანასკნელ დღეებში ძალიან დათბა. გუშინ შუადღისას 0,2 გრადუსი სითბო იყო. დღეს ღამით 1 გრადუსი სიცივეა.

უკანასკნელ დღეებში ინტენსიურად დნება თოვლი და აგრეთვე იმტვრევა ყინულოვანი ტოროსები. ივნისში სედოველები არაერთხელ მოხვდნენ ქარიშხალში; ხშირი ნისლი იდგა. ხანდახან თოვდა. დღეს ჰქრის სუსტი ერთი ბალის სიძლიერის ჩრდილო - აღმოსავლეთის ქარი.

სედოველებმა ძვირფასი მეცნიერული დაკვირვება ჩაატარეს. გუშინწინ მათ გაზომეს ოკეანის სიღრმე, რომელიც 3.996 მეტრი აღმოჩნდა. წინა გაზომვებმა ივნისში დაახლოებით იგივე სიღრმე გვიჩვენეს. გაზომილ იქნა ყინულის სისქე, რამაც საინტერესო ცნობები მისცა მეცნიერებას. მიღებულია მეტად ძვირფასი ჰიდროგეოლოგიური, მაგნეტური და სადღეღამისო მუდმივი მეტეოროლოგიური დაკვირვებანი.

სედოვის ეკიპაჟმა დიდი მუშაობა ჩაატარა გემის შესაკეთებლად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ აღადგინათ საჭის სამართავი მექანიზმები.

საბჭოთა კავშირში

მოსკოვის კინოქრონიკის სტუდიამ გამოუშვა და ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენაზე გაჰგზავნა სამი ახალი დოკუმენტური ფილმი: „შრომის უფლება", „დასვენების უფლება", „განათლების უფლება". ფილმები წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის იმ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა მკაფიო ილუსტრაციას, რომლებიც განმტკიცებულია სტალინური კონსტიტუციით.

O

1 ივლისს მოხდა ლენინგრადის სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის ინჟინერთა მორიგი გამოშვება. კურსდამთავრებულთა 42 პროცენტმა მიიღო დიპლომი წარჩინებით. ყველანი, ვინც აკადემია დაამთავრა, დანიშნულ იქნენ გემსაშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნების საამქროთა უფროსებად და ქარხნების დირექტორებად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია

ორჯონიკიძე (ჩრდილო-ოსეთი), 1 ივლისი (საკდესი). ორჯონიკიძეში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის კომპლექსური ექსპედიცია. იგი შესდგება სამი ჯგუფისაგან: გეოლოგიურის, სასოფლო-სამეურნეოს და ენერგეტიკულისაგან.

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის კომპლექსურმა ექსპედიციამ, — განაცხადა ექსპედიციის უფროსის მოადგილემ, გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. სობოლევმა, — დიდი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა უნდა ჩაატაროს კავკასიის გეოლოგიისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

გეოლოგიური და ენერგეტიკული ჯგუფები შეუდგებიან კავკასიონის მადნეულისა და ნავთიანი ზონების შესწავლას, თერგისა და მთის სხვა მდინარეთა ენერგეტიკული რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიური გამოყენების საკითხთა შესწავლას, შეისწავლიან აგრეთვე ახალ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის პრობლემას.

სასოფლო-სამეურნეო ჯგუფი გააჩაღებს მუშაობას მთის მიწათმოქმედების შემდგომი განვითარების, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის ყველაზე უფრო რაციონალური განლაგების საქმეში.

წელს ექსპედიციის რაზმის მთავარი ნაწილი იმუშავებს ჩრდილოოსეთსა და ყაბარდო-ბალკარეთში.

მფრინავი კოზლოვი ნარიან-მარში

არხანგელსკი, 1 ივლისი (საკდესი). გუშინ 19 საათსა და 55 წუთზე, ორდენოსანი მფრინავი ამხ. კოზლოვი მფრინავი ნავით „სსრ ნ-243" არხანგელსკის ჰიდროდრომიდან გაფრინდა და ღამით ნარიან-მარში დაეშვა.

უდანაკარგოდ ავილოთ მოსავალი, დროულად შევასრულოთ დამზადებათა გეგმები

ჩაის ფოთლის კრეფა წარმატებით მიმდინარეობს

(ბათუმი, ტელეფონით. საქ. კორესპონდენტისაგან)

ჩაის ფოთლის კრეფა აჭარაში წარმატებით მიმდინარეობს. ივნისის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში მოკრეფილია 1.541.162 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც თვიური გეგმის 117,7 პროცენტს შეადგენს. მოკრეფილი ჩაის 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ქობულეთის რაიონში მოკრეფილია 1.284.450 კილოგრამი მწვანე ფოთოლი — გეგმის 119,4 პროცენტი. აქედან პირველი ხარისხის ჩაი 67,2 პროცენტს შეადგენს. ბათუმის რაიონში მოკრეფილია 256.712 კილოგრამი ანუ გეგმის 109,7 პროცენტი. პირველი ხარისხის ჩაი აქ 82,5 პროცენტს შეადგენს.

ჩაის კრეფის გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 115,1%-ით, საბჭოთა მეურნეობებმა 120,2 %-ით, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ გეგმა შეასრულა 126,1 %-ით, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ — 119,9 %-ით და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობამ — 107,3 %-ით.

ჩაის კრეფის დაწყებიდან დღემდე სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 3.820.164 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 40%. ორი თვის გეგმა შესრულებულია 108,7%-ით.

კ. დოგორჯგინიძე

პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია

ვანის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების მიმდინარე წლის გეგმა 29 ივნისისათვის 100 პროცენტით შეასრულა, სახელმწიფოს ჩააბარა 164.750 კილოგრამი პარკი. საშუალო გამოსავლიანობა 1 კოლოფ თესლზე 50,6 კილოგრამს უდრის.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ფარცხალაძე

ჰექტარზე 23 ცენტნერი ქერი

კასპი, 2 ივლისი (საკ. კორ.). კასპის რაიონში ქერის მოსავლის აღებას პირველად სოფელ ქვემოხანდაკის კოლმეურნეობაში შეუდგნენ. აქ ქერი ასაღებია 25 ჰექტარზე. მას იღებს კომბაინერ სტეფანე ბაპაკშვილის აგრეგატი. პირველსავე დღეს ქერი აიღეს 7,5 ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე მოსავალმა საშუალოდ 23 ცენტნერს მიაღწია.

გეგმის 115 პროცენტი

ლანჩხუთი (საკ. კორ.). რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ფოთლის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

შუყონაგორის, ქალაქის-უბნის, გვიმბალაურისა და ნიგვზიანის კოლმეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება ჩაის კრეფის ივლისის გეგმა 20 რიცხვამდე შეასრულონ.

ალ. სარჯველაძე

აბრეშუმის პარკის დამზადება

„საქაბრეშუმტრესტის" 30 ივნისის ცნობებით

საქართველოში წელს უნდა დამზადდეს სულ 35.600 ტონა აბრეშუმის პარკი. 30 ივნისისათვის დამზადებული იყო 33.247,2 ტონა — გეგმის 94,7 პროცენტი, 10,4 პროცენტით მეტი, ვიდრე ამავე რიცხვისათვის შარშან.

პარკის დამზადების გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით აქვს შესრულებული თბილისის, ბორჩალოს, კასპის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ქუთაისის, ჩხარის, ვანის, გეგეჭკორის, მახარაძის, ჩოხატაურის და ცაგერის რაიონებს. კერძოდ თბილისის რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 114,4 პროცენტით, ლუქსემბურგს— 110,5-ით, კასპს — 110,3-ით, ყვარელს — 108,2-ით და სხვ.

დანარჩენი რაიონებიდან პარკის დამზადების გეგმა შესრულებული აქვს საგარეჯოს რაიონს — 73,7 პროცენტით, გორს — 67,9-ით, ხაშურს — 44,4-ით, წითელწყაროს — 84,2-ით, თელავს — 93,5-ით, ქუთაისს—98-ით, ტყიბულს—93,8-ით, სამტრედიას — 83,8-ით, ზუგდიდს — 85,4-ით, გურჯაანს — 94,2-ით, ცხაკაიას — 90,8-ით, გეგეჭკორს — 98,1-ით, წალენჯიხას — 96,1-ით, ჩხოროწყუს — 99,2-ით, ლანჩხუთს — 95,7-ით; ამბროლაურს—90,8-ით, აჭარის ასს რესპუბლიკას — 91,3 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას — 91,3 პროცენტით.

უკანასკნელ დღეებში პარკის დამზადების ტემპები საგრძნობლად შენელდა. მაგალითად, ივნისის მეხუთე ხუთდღიურში დამზადდა საერთო გეგმის 12,9 პროცენტი, მეექვსე ხუთდღიურში კი დამზადება 3,9 პროცენტამდე დავიდა.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში

„საქჩაის" 1 ივლისის ცნობებით

რაიონები	უნდა დამზადდეს სულ ტონობით	დამზადებულია სეზონის დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმა შესრულებულია პროცენტობით	ივნისის გეგმა შესრულებულია პროცენტობით
ბათუმი	1.705	692	40,6	109,9
ქობულეთი	7.848	3.128,3	39,9	119,5
გალი	3.128	1.525,6	48,8	143,3
ოჩამჩირე	1.793	862,8	48,8	148
სოხუმი	14	5,6	40	145
გუდაუთი	16	13,3	83,1	192
მახარაძე	10.011	3.790,6	37,9	123,8
ჩოხატაური	1.253	564,6	45,1	141,4
ლანჩხუთი	3.350	1.314,8	39,2	115,9
სამტრედია	261	132,4	50,7	144,4
წულუკიძე	1.151	537,7	46,7	129,8
ქუთაისი	317	192,4	60,7	176,1
ტყიბული	510	194,8	38,2	123,9
ცხაკაია	929	511,9	55,1	165,8
გეგეჭკორი	2.626	1.086,2	41,4	123,3
ზუგდიდი	4.881,4	2.255,5	46,2	126,8
წალენჯიხა	1.618	737,2	45,6	122,3
ჩხოროწყუ	1.302	619	47,5	138,3
ხობი	386	175,8	45,5	120,9
სულ	48.100	18.840,5	42,6	127,1

შარშან ამავე რიცხვისათვის საქართველოში მოკრეფილი იყო სულ 11.650,2 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებული იყო 33,3 პროცენტით, ივნისისა კი—90,8 პროცენტით.

უკანასკნელ დღეებში დამზადების ტემპები საგრძნობლად გაძლიერდა. მაგ., ივნისის მეოთხე ხუთდღიურში დამზადდა სულ 942,1 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეხუთე ხუთდღიურში—1.384,1 ტონა, მეექვსე ხუთდღიურში კი—2.016 ტონა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1939 წ. 22 ივნისის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ირაიდა ბარამის-ასული **გონგაძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1926 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0717201 — ხალხის მტრის ხელის შეწყობისათვის.

შალვა ქრისტეფორის-ძე **მხეიძე**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1520462—ანტიპარტიული ლაყბობისათვის.

ვლადიმერ თევდორეს-ძე **მადრიცკი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1547114 — სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

დიმიტრი დიმიტრის-ძე **კამპანიეცი**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 1762116—სახელმწიფო სახსრების განიავებისა, მუშაობის ჩაშლისა და კონტრრევოლუციურ - შოვინისტური ლაყბობისათვის.

ორჯონიკიძის რაიონის წვევამდელთა კრება

1 ივლისს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა კლუბში შესდგა ორჯონიკიძის რაიონის წვევამდელთა კრება პარტიულ-კომკავშირულ აქტივთან ერთად.

კრებამ მოისმინა ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარის ამხ. გვგიას მოხსენება წითელ არმიაში გაწვევისათვის მზადების მსვლელობის შესახებ.

— მორიგი გაწვევისათვის, — სთქვა ამხ. გვგიამ, — კარგად ემზადებიან აბრეშუმსაქსოვ და მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკაში. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის 58 წვევამდელიდან 39 კაცმა ჩააბარა პირველი საფეხურის „მსთ" ნორმები, 29 კაცმა — „მსთ" ნორმები. ფაბრიკის კოლექტივმა მოამზადა 42 ვოროშილოველი მსროლელი.

სამწუხაროდ, რაიონში არის ჩამორჩენილი საწარმოებიც. რადიოტელეგრაფის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მორიგი გაწვევისათვის მზადებას ყურადღებას არ აქცევს. 31 წვევამდელიდან „მსთ" ნორმები ჩაბარებული აქვს მხოლოდ 7 კაცს, „მსთ" ნორმები — 7 კაცს და საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნორმები — 11 კაცს. რადიოტელეგრაფის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა არა თუ არ უზრუნველჰყო წვევამდელთა დასწრება, არამედ თვითონაც არ გამოცხადდა კრებაზე.

ჩამორჩენილთა შორის არიან სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზოოვეტერინალური ინსტიტუტი, რომელთა პარტიული ორგანიზაციებიც სათანადო მუშაობას არ ეწევიან წვევამდელებთან.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. წერეთელი (კავშირგაბმულობის ტექნიკუმი), სუხიაშვილი (ოპერისა და ბალეტის თეატრი), ჩიტაძე (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი) და სხვ. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის პროტესტი იაპონიის ხელისუფალთა მიმართ

ნიუ-იორკი, 2 ივლისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" გადმოცემით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ჩინეთში იაპონიის ხელისუფალთ გადასცეს პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ იაპონელებმა 30 ივნისს ყუმბარები დაუშინეს ამერიკელთა სკოლას ფუჩოუში. იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ამერიკელთა სკოლას, მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლაზე აშკარად მოსჩანდა ამერიკის ბაირაღები.

დანციგის ამბების გარშემო

ვარშავა, 2 ივლისი (საკდესი). პოლონეთის პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული ის, რომ დანციგი აივსო გერმანელი „ტურისტებით" და სხვადასხვა საეჭვო ჯგუფებით. გაზეთ „ექსპრესის" გადმოცემით დანციგის პოლიციის უფროსმა ამას წინათ კონფისკაცია უყო 40 პოლონურ გაზეთს. „ილუსტროვანი კურიერ ცოძენი" იუწყება, რომ უახლოეს დროში პოლონეთის ნავსადგურ გდინიაში მოვლენ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო გემები.

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მიღება დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა

ახალმა წესდებამ შესამჩნევად გაუადვილა პარტიაში შესვლა ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებს. ამის შედეგად საგრძნობლად გაძლიერდა პარტიის რიგების ზრდა XVIII პარტყრილობის შემდეგ.

თბილისის ლენინის რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ყრილობის შემდეგ მიღებულია 500-ზე მეტი ამხანაგი, კიროვის რაიონში კი სამ თვეში მიიღეს 413 კაცი (20 ივნისამდე ჩათვლით). ბოლშევიკთა პარტიაში შედიან დედაქალაქის გამოჩენილი ადამიანები, საწარმოთა მოწინავე სტახანოველები, საბჭოთა დაწესებულებების თავდადებული მუშაკები, პედაგოგები, ექიმები, საბჭოთა ინტელიგენციის ნაღები.

პარტიის რიგებში ახალ წევრთა მიღება დიდი და საპასუხისმგებლო საქმეა. პარტიულ ორგანიზაციათა უპირველესი მოვალეობაა მუდამ ზრუნავდნენ პარტიის რიგების სიწმინდის დაცვისათვის, პარტიაში კომუნიზმის საქმის ერთგულ ადამიანთა მიღებისათვის და ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის ბოლშევიზმის სულისკვეთებით. სამწუხაროდ, ყველგან როდი აქვთ საკმაოდ შეგნებული ეს ამოცანები. ზოგჯერ ხელაღებით უდგებიან პარტიაში მიღების საქმეს, გულდასმით და ყოველმხრივ არ ამოწმებენ პარტიაში შესვლის მსურველებს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: აგურის მექანიკურ ქარხანაში (ლენინის რაიონი) მიმდინარე წლის 27 მარტს პარტწევრობის კანდიდატად მიიღეს ა. ავეტისიანი, რომელიც ქარხანაში მხოლოდ 3 თვე მუშაობდა; სანამ რაიკომი განიხილავდა ავეტისიანის მიღების საკითხს, იგი უკვე მოიხსნა სამუშაოდან, როგორც გამცდენი. „ტრანსტორგპიტის" პარტორგანიზაციაში გასულ წელს პარტიაში მიიღეს ი. აროშვილი. შემდეგ გამოირკვა, რომ პარტიაში მიღების მომენტში იგი მიცემული იყო პასუხისგებაში. მომხმარებლის სისტემატური მოტყუებისათვის მას მიესაჯა პატიმრობა 6 წლით. ასევე ზერელედ მიუდგა პარტიაში მიღებას ცეკავშირის პარტორგანიზაცია (კიროვის რაიონი). აქ წინასწარ შეუსწავლელად პარტიის წევრად მიიღეს ვინმე არაქელაშვილი, რომელიც მალე დაპატიმრებულ იქნა და გარყვნილობისათვის მიესაჯა 10 წელი.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ყოვლად შეუწყნარებელ აჩქარებას იჩენს. ასე, მაგალითად, თბილისის მაუდის ფაბრიკის პარტორგანიზაციის თვითეულ კრებაზე ზოგჯერ პარტიაში მისაღებთა 12-14 საქმეს იხილავენ სხვა საკითხებთან ერთად. საბინაო სამმართველოს პარტორგანიზაციამ (კიროვის რაიონი) ერთერთ თავის კრებაზე ხელაღებით მიიღო პარტიაში 6 ამხანაგი, ისე რომ მათი განცხადებები ცალცალკე და გულდასმით არ განუხილავთ.

საზიანო აჩქარების ცუდ მაგალითებს ზოგჯერ თვით რაიკომების ბიუროები იძლევიან. მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომის ბიურომ თავის 3 აპრილის სხდომაზე პარტიაში მისაღებთა 46 განცხადება განიხილა, ხოლო 19 აპრილის სხდომაზე—45. ამავე სხდომაზე განხილულ იქნა 10-12 სხვა საკითხი. რა გარანტია გვაქვს, რომ ასეთი აჩქარების შედეგად პარტიაში არ შეიპარებიან უღირსი ელემენტები?

ცალკეული პარტიული ორგანიზაციები სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ პარტიაში მისაღებთა საბუთების გაფორმებისა და განხილვის საქმეში. მაცივარკომბინატის პარტორგანიზაციის (პარტბიუროს მდივანი — ვასილჩენკო) საერთო კრებაზე პარტიაში მიიღეს პ. ფარაფანოვი, რომლის საკითხიც წინასწარ არ განუხილავს პარტბიუროს. ფარაფანოვის მიღების წინააღმდეგ გამოვიდა პარტწევრი ამხ. წივწივაძე და აღნიშნა, რომ იგი თავშეუკავებელია წარმოებაში და საჭიროა წინასწარ შეისწავლოს ბიურომ, მაგრამ მის მოთხოვნას ამხ. ვასილჩენკომ ანგარიში არ გაუწია.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთმა პარტიულმა ხელმძღვანელმა ვერ გაიგო ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ახალი წესდება კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს პარტორგანიზაციებისა და მათ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას პარტიაში მისაღებთა უდიდესი ყურადღებით შერჩევის საქმეში, რომ ინდივიდუალური შერჩევა იყო და არის პარტიაში მიღების ურყევი კანონი. პარტიაში მიღება უნდა ვაწარმოოთ ყოველგვარი ფუსფუსისა და აჩქარების გარეშე, მაგრამ ამავე დროს საქმის გაუჭიანურებლად.

სამწუხაროდ, ზოგან შემჩნეულია მეორე უკიდურესობა — პარტიაში მისაღებთა განცხადებების განხილვის დაუშვებლად გაჭიანურება. „თელასის" პარტორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი—ამხ. სულაძე) 7-8 თვის განმავლობაში განუხილავად ეწყო პარტიაში შესვლის მსურველთა 9 საქმე, მათ შორის ამხ. ჩეჩელაშვილის განცხადება უკვე 10 თვე იდო განუხილავად. ხშირად თვით რაიკომებიც აჭიანურებენ პარტიაში მისაღებთა განცხადებების განხილვას. საქ. კ. პ. (ბ) კიროვის რაიკომში განუხილავია გასული წლის დეკემბერში შესული 52 საქმე. პარტიაში მიღების ამგვარი გაჭიანურება სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ასეთ უხეირო მუშაობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

პარტიაში მიღების შემდეგ პარტორგანიზაციებმა კიდევ მეტად უნდა იზრუნონ ახლად მიღებულთა აღზრდისათვის. პარტიაში მიღებით არსებითად მხოლოდ იწყება მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტების აღსაზრდელად. ისინი ფართოდ უნდა ჩავაბათ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, ბოლშევიკურად მოვაწყოთ მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, დავეხმაროთ მათ ბოლშევიზმის სახელოვანი ისტორიის შესწავლაში. თვითეულ ახალგაზრდა კომუნისტს უნდა მივცეთ ისეთი პარტიული დავალება, რომლის შესრულება ხელს შეუწყობს მის იდეურ-თეორიულ აღზრდას და გამოწრთობას პრაქტიკულ მუშაობაში, და დავეხმაროთ ამ დავალების შესრულებაში.

ამ მეტად საპასუხისმგებლო პირობის შესრულებას მრავალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მაგალითად, თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის პარტორგანიზაციაში ახალგაზრდა კომუნისტთა უმრავლესობას მიცემული არა აქვს პარტიული დავალება. აქ საერთოდ არ მოეპოვებათ აღრიცხვა, თუ რომელ კომუნისტს რა დავალება აქვს და ვინ როგორ ასრულებს მიცემულ დავალებას. არტელ „თბილკოოპტრანსის" პარტორგანიზაციაში პარტწევრობის 5 კანდიდატიდან სამ ამხანაგს არა აქვს პარტიული დავალება და ა. შ.

ხშირად პარტიაში ახლადმიღებულთ დავალებები ეძლევათ ფორმალურად, რომ სთქვან—„ჩვენც ვაწარმოებთ ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას, ვაჩვევთ მათ მუშაობასო". ტრიკოტაჟკომბინატის პარტორგანიზაციაში კანდიდატს ამხ. ქაბრაშვილს დავალებული აქვს კრების წინ გააფრთხილოს ამხანაგები, რომ კრებას დაესწრონ, № 1 პურისსაცხობ ქარხანაში კომუნისტებს ამხ. მუსერიძეს და შენგელიას დავალებული აქვთ მორიგეობა წითელ კუთხეში. რასაკვირველია, ასეთი ფორმალური დავალებები ხელს ვერ შეუწყობენ პარტიის ახალგაზრდა წევრთა და კანდიდატთა აღზრდას და მათ იდეურ - პოლიტიკური დონის ამაღლებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა არა ფორმალურად, არამედ ნამდვილად, საქმიანად უნდა მოჰკიდონ ხელი პარტიაში ახალ მიღებულთა აღზრდას. კერძოდ, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდაში რეკომენდატორებმა. ისინი ვალდებული არიან დაეხმარონ რეკომენდებულთ სწავლაში და პრაქტიკულ მუშაობაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა ხშირად უნდა მოიწვიონ პარტიაში ახლად მიღებულთა თათბირები, შეაჯამონ განვლილი მუშაობა, გაიგონ ახალგაზრდა კომუნისტთა მოთხოვნილებანი და წარმართონ მუშაობა მათი უკეთესად აღზრდის თვალსაზრისით.

ამჟამად რაიონულმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიაში მიღების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, გადაჭრით აიცილონ თავიდან აჩქარება და ხელაღებით მიდგომა, მოსპონ პარტიაში მისაღებთა საქმის განხილვის გაჭიანურება და ბოლშევიკურად იზრუნონ ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის.

ლ. ალექსიძე

რაიონული პარტაქტივის კრებები

ვანი

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიონული აქტივის კრება, მიძღვნილი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შედეგების განხილვისადმი.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ფარცხალაძე. მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა.

დასასრულ, აქტივის კრებამ ერთხმად მოიწონა მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი ურყევად შესრულებისათვის.

ნ. თვალაბეიშვილი

ზემო-სვანეთი

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიონული აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. გ. ადამიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგების შესახებ.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ბ. ქოგალია

დოც. შ. ვ. მეგრელიძე
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

შრომის რგოლური ორგანიზაცია

შრომის რგოლურ ორგანიზაციას კოლმეურნეობებში პარტიის XVIII ყრილობამ ფრიად სერიოზული ყურადღება მიაქცია. ყრილობაზე ამ საკითხზე ფართოდ შეჩერდნენ ამხანაგები ვ. მოლოტოვი და ა. ანდრეევი. ამხანაგმა მოლოტოვმა სთქვა: „შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში უკვე დიდი როლი შეასრულა რგოლების შექმნამ კოლმეურნეობებში. ჯერჯერობით სარგოლო ორგანიზაცია გავრცელებულია კოლმეურნეობათა მცირე ნაწილში. ამავე დროს ეს საქმე გამართლებულია გამოცდილებით და მოითხოვს ფართოდ გავრცელებას კოლმეურნეობებში".

რგოლების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა უკეთეს ორგანიზაციას, მოცემული საწარმოო დავალების დროულად და მაღალხარისხოვნად, გადაჭარბებით შესრულებას, შრომისუნარიან კოლმეურნეთა მართებულ გამოყენებას და მათი შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

კოლმეურნეობებში რგოლების ორგანიზაცია ხელს უწყობს გაუპიროვნების ლიკვიდაციას და ჰქმნის ყველა პირობას რგოლის წევრთა მიერ თვითეული ნაკვეთის, ნარგავის და ნათესის მოთხოვნილებათა დიფერენცირებულ-ინდივიდუალური შესწავლისა და ამის მიხედვით ღონისძიებათა დასახვა - გატარებისათვის.

დამტკიცებულია, რომ კულტურების მაღალ მოსავლიანობას ადვილად მიაღწევს მხოლოდ ის კოლმეურნეობა, რომელსაც თავისი კოლმეურნეები არა მარტო ბრიგადებად ჰყავს დაყოფილი, არამედ რგოლებადაც.

საკოლმეურნეო რგოლი ზუსტად შეისწავლის მასზე მიმაგრებულ მიწის ფართობს, კულტურებს, მათ მოთხოვნილებებს, გავრცელებულ სარეველა ბალახებს, და გამოიმუშავებს მათთან ბრძოლის გაუმჯობესებულ ხერხებს, აღმოცენებისთანავე გაანადგურებს მათ და უზრუნველჰყოფს მაღალი სტალინური მოსავლის მიღებას.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ხანია უდიდესი ყურადღება მიაქციეს რგოლების ორგანიზაციას კოლმეურნეობებში. თავისი დადგენილებით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნეს კარტოფილისა და ბოსტნეულის დამუშავებისა და მოსავლის აღების სამუშაოთა ჩასატარებლად საკოლმეურნეო ბრიგადებიდან რგოლების გამოყოფა 5-10 კოლმეურნის შემადგენლობით. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი აგრეთვე ბამბისა და ჭარხლის დამუშავებისა და აღების სამუშაოებზე ბრიგადების შიგნით რგოლების ორგანიზაცია, რგოლებზე ჭარხლის ნათესის მიმაგრება ისე, რომ რგოლებს დაკისრებული აქვთ ყველა სამუშაო, დაწყებული პირველი გათოხნიდან, დამთავრებული ჭარხლის ამოთხრით და ჩაბარებით. ასეთივე დადგენილება იქნა გამოტანილი ბამბის შესახებაც.

საქართველოს კოლმეურნეობებში უმთავრესად გაშენებულია სუბტროპიკული და ძვირფასი ტექნიკური კულტურები, ხეხილისა და ვაზის ძვირფასი ჯიშები. ასეთ კოლმეურნეობებში ბრიგადების შიგნით რგოლების ორგანიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამისათვის საჭიროა შრომის რგოლური ორგანიზაცია პრაქტიკულად განხორციელებულ იქნას არა კოლმეურნეობათა ნაწილში, არამედ ყველა კოლმეურნეობაში. მუშაობის მხოლოდ ასეთი წესი უზრუნველჰყოფს სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა კიდევ უფრო მაღალ და უხვ მოსავალს.

ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ, შეეხო რა ჩაის მეურნეობის განვითარების საკითხებს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1935 წლის მაისის პლენუმზე, სთქვა: „რას ნიშნავს ჩაის ბუჩქის შესწავლა, მისი ცოდნა და კარგად მოვლა? ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, რომ ბრიგადებს, რომლებიც მუშაობენ ჩაის პლანტაციაზე, უნდა ჰყავდეთ მუდმივი და იმგვარად განაწილებული, რომ თვითეულ ბრიგადაზე მიმაგრებულ იქნას ცალკე უბანი; მეორე, აგრეთვე თვითეული ბრიგადის შიგნით ჯგუფებზე და ცალკე მუშებზე მიმაგრებულ უნდა იქნას ცალკე უბნები ბუჩქების განსაზღვრული რაოდენობით".

ჩაის, ციტრუსების და სხვა კოლმეურნეობებში — ყველგან შრომის რგოლური ორგანიზაცია ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის დანერგილი. ზოგან ბრიგადები ჯერ კიდევ არ არის დაყოფილი რგოლებად. ეს მაშინ, როდესაც მუშაობის რგოლურმა სისტემამ ჩაის კოლმეურნეობაშიაც სავსებით გაამართლა თავისი თავი. ამასთანავე უკვე მოწყობილ რგოლებს მნიშვნელოვანი ორგანიზაციული დეფექტები ახასიათებს. დღემდე სათანადოდ არ არის გამორკვეული რგოლების გამოყოფის დრო (რა ხნით უნდა გამოიყოს რგოლი). რგოლის დაკომპლექტება კოლმეურნეებით, კულტურების მიმაგრება რგოლზე, საწარმოო საშუალებათა რაოდენობისა და სახეების მიმაგრება, სანარდო მუშაობა რგოლში, კულტურების ინდივიდუალური გაპიროვნება რგოლის წევრებზე, რგოლის წევრთა მუშაობისა და, რაც მთავარია, რგოლის მიხედვით მოსავლის აღრიცხვა და წამახალისებელ ღონისძიებათა დასახვა. ეს საკითხები ცალკეული საწარმოო მიმართულების კოლმეურნეობათა რგოლებისათვის მათი თავისებურების მიხედვით უნდა გადაწყდეს. აქ ერთნაირი საზომის გამომუშავება არ შეიძლება. საჭიროა ხელმძღვანელმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა კოლმეურნეობათა საწარმოო მიმართულების მიხედვით შეიმუშაონ რგოლების ორგანიზაციის გეგმა. აღსანიშნავია, რომ სამიწათმოქმედო ორგანოები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ამ მიმართულებით დღემდე ძალიან ცოტას აკეთებენ.

რგოლების გამოყოფა სეზონობის ან ცალკეულ საწარმოო პროცესების მიხედვით, მაგალითად მემინდვრეობაში ხვნის, ფარცხვის, თესვის, ჩაის კულტურაში — გასხვლის, მწვანე ფოთლის კრეფის და ა. შ.—მიზანშეუწონლად უნდა მივიჩნიოთ. იგი უნდა იყოს მუდმივი და იმგვარად დაკომპლექტებული, რომ მთელი წლის განმავლობაში განსაზღვრულ კულტურებზე (ან კულტურაზე) ყველა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოებს ასრულებდეს საკუთარი ძალებით. რგოლების შემადგენლობის დენადობა საზიანოა საქმისათვის.

მიზანშეუწონლად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ჩაის ზოგიერთი კოლმეურნეობის პრაქტიკა ჩაის მწვანე ფოთლის მოსაკრეფად — ქალებისა და ჩაის კულტურის სხვა სამუშაოთა შესასრულებლად — მამაკაცების რგოლების ცალ-ცალკე ჩამოყალიბება.

კოლმეურნეობათა საწარმოო მიმართულების მიხედვით რგოლებს შეიძლება მივამაგროთ მიწის განსაზღვრული ფართობი. მარცვლეულის მოწინავე კოლმეურნეობებში რგოლებზე მიმაგრებულია არა ერთი კულტურა, არამედ ყველა მარცვლეული და სათოხნი კულტურები. ყველა კულტურის რგოლებზე მიმაგრებამ დადებითი შედეგები გამოიღო. თუმცა მუშაობის ასეთი წესის შემოღება დაკავშირებულია სიძნელეებთან და იწვევს ბრიგადების მიწების შედარებით პატარა ნაკვეთებად დაყოფას, რადგან ეს საჭიროა რგოლების სამეურნეო მოქმედების შედეგების აღრიცხვისათვის.

თუ ერთი საწარმოო მიმართულების კოლმეურნეობის მუდმივ საწარმოო ბრიგადებში კომპლექსური რგოლებია მისაღები, იგი მიუღებელია სხვა საწარმოო მიმართულების კოლმეურნეობაში, სადაც საჭიროა ბრიგადებს შიგნით მოეწყოს სპეციალიზებული რგოლები.

ჩაის კოლმეურნეობაში საწარმოო ბრიგადებზე მიმაგრებულია, როგორც ჩაი, ისე სხვა მრავალწლოვანი ნარგავები, აგრეთვე მიწის ფართობი მემინდვრეობის კულტურებისათვის, მაგრამ რგოლები გამოიყოფიან მხოლოდ ჩაის კულტურაში სამუშაოთა შესასრულებლად.

ჩაი შრომისტევადი კულტურაა. იგი მოითხოვს მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებას. რგოლების სიდიდე კი მის მიერ დასამუშავებელი კულტურების წარმოების მოცულობით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში რგოლის სიდიდის განმსაზღვრელად ჩაის კულტურის წარმოების ხასიათი უნდა მივიჩნიოთ.

რგოლების სამეურნეო მოქმედება დამოკიდებულია საწარმოო ძალების გამოყენებაზე, ხოლო საწარმოო ძალებიდან მთავარია სამუშაო ძალა. რგოლებს მუშა-ხელის იმდენი რაოდენობა უნდა მიემაგროს, რამდენიც უზრუნველჰყოფს რგოლზე მიმაგრებული კულტურების დამუშავებას და მოსავლის აღებას საწარმოო საშუალებათა რაციონალური გამოყენებით დაწესებულ აგროტექნიკურ ვადებში ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დაცვით.

ჩაის რგოლი მასზე მიმაგრებულ ჩაის პლანტაციაში უნდა ასრულებდეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, მათ შორის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფასაც. ეს სამუშაო რგოლისათვის ძირითადი და გადამწყვეტია და იგი მას საკუთარი ძალებით უნდა ასრულებდეს. რასაკვირველია, ეს დებულება დოგმად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ჩაის რგოლების მუშაობაში არის მომენტები, როდესაც რგოლი ჩაის ფოთლის კრეფას ვერ აუდის, ამავე დროს, ჩაის პლანტაციის თავისებურებათა გამო მეორე რგოლი ასეთ დაძაბულ მდგომარეობას არ განიცდის და კოლმეურნეები ამ მომენტში ჩაის კრეფით იმდენად დატვირთული არ არიან. მუშაობის ასეთ პერიოდს არა მარტო ჩაის რგოლებში, არამედ სხვა კულტურებში მომუშავე რგოლებშიაც აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში საჭიროა ერთი რგოლის წევრები გადავისროლოთ მეორე რგოლის დასახმარებლად, მაგრამ მუშაობის ასეთი წესი სისტემად არ უნდა გადაიქცეს.

მრავალწლიანი ნარგავების ცალკეული პლანტაციები სხვადასხვა მოსავლიანობით ხასიათდებიან. რგოლზე კულტურების მიმაგრებისას სწორედ მოსავლიანობის დონე უნდა მივიღოთ მხედველობაში. საერთოდ კი პირველყოვლისა, რგოლებს უნდა მიემაგროს უფრო შრომატევადი კულტურა, რომელიც მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება.

ის საკითხი, თუ საკოლმეურნეო ბრიგადები რამდენ რგოლად დაიყოს ან რგოლში რამდენი შრომისუნარიანი კოლმეურნე იქნას გაერთიანებული სხვადასხვა საწარმოო მიმართულების კოლმეურნეობაში, სხვადასხვანაირად წყდება. საერთოდ უნდა მივიღოთ, რომ პატარა ანუ მცირერიცხოვანი რგოლი კოლმეურნეობაში უფრო ეფექტიურია, მოქნილი და ნაყოფიერი. მემინდვრეობის კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან რაოდენობაში რგოლები დაკომპლექტებულია 5-10 და ზოგჯერ მეტი რაოდენობის კოლმეურნეებით. ჩაის ცალკეულ კოლმეურნეობებში კი თვითეული ბრიგადა 4-6 რგოლად არის დაყოფილი, ხოლო რგოლზე მიმაგრებულია 6-9 კოლმეურნე, თუმცა არის ჩაის ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც თვითეულ რგოლზე 15-20 კოლმეურნეა მიმაგრებული. გასაგებია, რომ ასეთ რგოლებზე ხელმძღვანელობა შედარებით რთულია.

ყურადღება უნდა მიექცეს მიწის ფართობის მიმაგრების საქმესაც. ჩაის რგოლებს, ჩაის პლანტაციის ჰექტარების დიდი რაოდენობა არ უნდა მიემაგროს. მახარაძის რაიონის სოფ. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის თვითეულ რგოლზე საშუალოდ 8-9 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მოდის. მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კი შედარებით პატარა რგოლებია გამოყოფილი — თვითეულ რგოლზე მიმაგრებულია 4-5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ასეთ რგოლებზე კოლმეურნეებიც შედარებით ნაკლებია მიმაგრებული.

მტკიცედ ორგანიზებულ საკოლმეურნეო რგოლებს უნდა მიეცეს წლიური საწარმოო დავალება. რამდენადაც რგოლების საწარმოო დავალება დიდია, იმდენად კოლმეურნეთა და საწარმოო საშუალებათა რაოდენობა რგოლში იზრდება, მაგრამ მუშა-ხელის მარტო რაოდენობა ყოველთვის არ არის გადამწყვეტი, თუ გათვალისწინებულ არ იქნა კოლმეურნეთა კვალიფიკაცია, მუშაობაში დახელოვნება და ფიზიკური ძალა. ამასთანავე, რამდენადაც რგოლის მიერ შესასრულებელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მექანიზებულია, იმდენად კოლმეურნეთა ნაკლები რაოდენობაა საჭირო.

გარდა ამისა, რგოლებს ყველა ის საწარმოო საშუალებათა ნაწილი კი არ ემაგრება, რაც ბრიგადაზეა მიმაგრებული, არამედ მხოლოდ ის საწარმოო საშუალებები, რომლებიც საჭიროა რგოლზე მიმაგრებული კულტურების დამუშავებისათვის. ჩაისა და მევენახეობის რგოლებს ემაგრება მხოლოდ ამ კულტურებში გამოსაყენებელი საწარმოო საშუალებები.

რგოლებში განხორციელებულ უნდა იქნას ინდივიდუალური სანარდო მუშაობა. ამის მიხედვით უნდა შეფასდეს ცალკეულ კოლმეურნეთა ნამუშევარიც.

შრომის რგოლური ორგანიზაციის მტკიცედ დანერგვის საქმეში ერთერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ სამუშაოთა სპეციფიკურობის მიხედვით გამომუშავების დიფერენცირებული ნორმების დაწესებას. საჭიროა დაწესდეს გამომუშავების ისეთი ნორმები, რომლის შესრულებასაც შესძლებს კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნე მუშა-საქონლის, მანქანების, ნიადაგის და სხვა პირობების გათვალისწინებით.

რგოლების მუშაობაში ერთერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წამახალისებელ ღონისძიებებს. არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ ა. ანდრეევის გაფრთხილება, რომ „... რამდენადაც შრომა კოლმეურნეობაში ინდივიდუალიზებულია რგოლების სახით, ან ცალკეულ კოლმეურნეთა სახით, რაც უფრო წახალისებულია მატერიალურად მათი შრომა, მით უფრო ნაყოფიერია იგი როგორც მოსავლის, ისე მეცხოველეობის დარგში".

კოლმეურნეობებში მუშაობის რგოლური სისტემის დანერგვითა და რგოლზე კულტურების მტკიცედ მიმაგრებით ზუსტად გამოირკვევა მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის შედეგები. ამიტომ ალა აუცილებელია, საშუალო საკოლმეურნეო მაღალი მოსავლის შემთხვევაში, გატარდეს რგოლებზე შრომადღეების დამატებითი დარიცხვა და გადაისინჯოს შრომადღეების დამატებითი დარიცხვის არსებული წესი, რომლის მიხედვით შრომადღეების დამატებითი დარიცხვა ხდება მხოლოდ ბრიგადებზე, ხოლო რგოლზე კი არა. კარგი მუშაობის შედეგად რგოლებზე შრომადღეების დამატებითი დარიცხვა, ჩვენის აზრით, კიდევ უფრო გაადიდებს რგოლების პასუხისმგებლობას და მატერიალურ დაინტერესებას.

...ლი ბიბლიოთეკა

სწორად ჩავატაროთ საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა

პირველი დღე

(გორი, ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის მიერ დანიშნული კომისიები მიწების აზომვას რაიონში 1 ივლისს შეუდგნენ. წინასწარ ჩატარებულმა მოსამზადებელმა მუშაობამ და ინსტრუქტაჟმა კომისიის წევრები გაარკვია აზომვის წესებში.

მიწების აზომვის პირველ დღეს სოფ. ტინისხიდის კოლმეურნეობაში კომისიის მუშაობა ჩაიშალა. კომისიის წევრი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სტეფანე პოლოსაშვილი დათვრა და სამუშაოზე არ გამოცხადებულა. ამის გამო კომისია იძულებული გახდა სამუშაოდ მეორე სოფლის კოლმეურნეობაში გადასულიყო.

მიწების აზომვას რაიონის კოლმეურნეები აღფრთოვანებით შეხვდნენ.

პირველ დღეს არცერთი შემთხვევა არ ყოფილა ამ სამუშაოს ჩატარებასთან დაკავშირებით კოლმეურნეების სამუშაოზე მოცდენისა. პირიქით, წინათ ზარმაცობასა და ცუღლუტობაში შემჩნეული კოლმეურნეები ახლა ყველაზე ადრე გამოდიან სამუშაოზე და ერთგულად მუშაობენ. არის იმის მაგალითებიც, რომ გარესამუშაოზე თვითნებურად გასული კოლმეურნენი დაბრუნდნენ და სამუშაოდ მხარში ამოუდგნენ პატიოსან კოლმეურნეებს.

კომისიის წევრები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ ამ მეტად სერიოზულ სამუშაოს შესრულებას.

აი რა გვიამბო კომისიის თავმჯდომარემ ატენის სოფლსაბჭოში — ამხ. გიორგი ბალდასაროვმა: — პირველ ივლისს გარიჟრაჟზე უკვე ადგილზე ვიყავი, კომისიის წევრებთან და კოლმეურნე მიწისმზომელებთან ერთად ერთხელ კიდევ ვისაუბრეთ სამუშაოს უნაკლოდ ჩატარების კონკრეტულ ღონისძიებებზე, უკანასკნელად შევამოწმეთ ჩვენი მზადყოფნა. ყველაფერი გვქონდა: აქტები, ცნობები მიწების რაოდენობის შესახებ, კოლმეურნეთა სიები, რულეტები და სხვა ხელსაწყოები. დილის 7 საათიდან უკვე პრაქტიკულად შევუდექით მუშაობას. სოფ. ძებირის კოლმეურნეობა „სიმაგრეში“ პირველ დღეს აზომეთ კოლმეურნეთა 84 ნაკვეთი, აზომვა დავიწყეთ ნაგებობებით დაკავებული ფართობიდან. აზომვის დროს ბევრი შეგვხვდა ისეთი კოლმეურნე, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთები 4-5 ადგილას ჰქონდათ.

რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები ადგილებზე იმყოფებიან და კომისიების მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებს იქვე ასწორებენ. 4-5 ივლისს რაიონში მოწვეული იქნება კომისიების თავმჯდომარეთა რაიონული თათბირი, სადაც მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა აზომვის პირველი დღეების შედეგებზე და დასახული იქნება ღონისძიებები გამომჟღავნებულ ნაკლთა სალიკვიდაციოდ.

არ. კოკილაშვილი

კომისიის თავმჯდომარე აზომვას არ დასწრებია

ავჭალის სასოფლო საბჭოში (თბილისის რაიონი) კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები და აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწები ასაზომია სულ 1500-მდე კომლის.

მიწების აზომვის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად აქ დროულად ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, 1 ივლისიდან კი ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში აზომვასაც შეუდგნენ.

— ვინ არის კომისიის თავმჯდომარე, როგორია მუშაობის პირველი შედეგები? — ვეკითხებით კომისიის წევრს, ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. თ. ვარდანაშვილს.

ირკვევა, რომ თბილისის რაიაღმასკომისა და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მიერ მიწის ამზომავი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული ამხ. კ. სიხარულიძე ამ კომისიაში მხოლოდ 1 ივლისს მუშაობდა, 2 ივლისს კი „სამსახურის მიზეზით“ სამუშაო დასტოვა და კომისიის დროებითი ხელმძღვანელობა მიწათმომწყობ ამხ. ა. ბუხრაძეს დააკისრა.

ნუთუ დასაშვებია, რომ კომისიის თავმჯდომარე დროგამოშვებით ცხადდებოდეს სამუშაოზე?

პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში ნათქვამია: „კომისიის მიერ თვითეული საკარმიდამო ნაკვეთის აზომვის შედეგები დაუყოვნებლივ ჩაიწერება აქტში მიწის მოსარგებლის გვარის, სახელის, მამის სახელის, საკარმიდამო ნაკვეთის საერთო ფართობის აღნიშვნით“... და სხვ. აქ კი კომისიის ხელმძღვანელებმა აქტის ბლანკების ეკონომიის მომიზეზებით მიწების აზომვის შედეგები რვეულის ფურცლებზე აღნიშნეს, რაიაღმასკომში მიგვეთითეს, აქტები ცოტაა და გაუფრთხილდითო, — აცხადებენ კომისიის წევრები, აქტები კოლმეურნეობაში ჩაჰკეტეს, მინდვრად კი სავალდებულო წესს არ ასრულებენ.

როდის დაიწერება აქტი? განა შეიძლება რვეულის უბრალო, არაოფიციალურ ნაგლეჯს ვენდოთ იმ იმედით, რომ მას შემდეგ ზუსტად გადასწერენ აქტში?

ტრ. თოდრაძე

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სათანადოდ არ გაუშლიათ

სოხუმი (საკ. კორ.). 1 ივლისს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დაიწყო საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ეს საქმე ძირითადად ორგანიზებულად დაიწყეს.

ამასთან ერთად პირველ დღეს ზოგიერთ სოფელში ადგილი ჰქონდა შეფერხების ფაქტებს. სოხუმის რაიონის სოფ. ვლადიმიროვკის ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობაში ამზომავი კომისიის თავმჯდომარის ამხ. უჩანეიშვილის დაუდევრობით, დილის 8 საათის ნაცვლად მიწის აზომვა დღის 2 საათზე დაიწყო. კომისიის თავმჯდომარის აშოთ ოსეპიანის დაუდევრობით აზომვა გვიან დაიწყო აგრეთვე ამავე რაიონის სოფ. შუქურას კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობაში საფუძვლიანად არ განუმარტავთ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება. ამ სოფლის მცხოვრებნი თედორე ჩიტავა, იაკობ სიჭინავა და სხვები დღეს კითხულობენ, რატომ ზომავენ მიწებს, რას ითვალისწინებს ამის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებაო. ეს რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციების სუსტ მუშაობას მოწმობს.

გ. მერკვილაძე

მეტი ყურადღება აზომვას

(ყარაია, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

1 ივლისს დილის 7 საათისათვის საკარმიდამო მიწების ამზომავი კომისიები უკვე სამუშაოზე იყვნენ გასული. რაიონის 6 სოფლსაბჭოს კოლმეურნეობებში ერთდაიმავე დროს დაიწყო მიწების აზომვა. კოლმეურნე სტახანოველები, სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანები უდიდესი კმაყოფილებით ხვდებიან კომისიის წევრებს, ეხმარებიან მათ მუშაობაში.

ქოსალოს სოფლსაბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ამზომავმა კომისიამ (თავმჯდომარე გ. როსტაშვილი) წარმატებით დაამთავრა აზომვის პირველი დღე. კომისია დანიშნულ დროზე ნახევარი საათით ადრე შეუდგა მუშაობას. პირველ დღეს მან აზომა 18 საკარმიდამო ნაკვეთი. იგი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ხელსაწყოთი. მას დიდად შეუწყო ხელი ნაკვეთების ზუსტად აზომვაში წინადღით ჩატარებულმა სავარჯიშო მეცადინეობამ.

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის პირველმა დღემ ნათელჰყო საზოგადოებრივი მიწების თვითნებური დატაცებისა და მითვისების ბევრი ფაქტი. მაგალითად, ყარაიის მტს-ის ტრაქტორისტი ჰაჯი-ალი მამედ-ოღლი წინათ დაუკითხავად შეიჭრა ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობში და 0,45 ჰექტარზე დასთესა სიმინდი. კოლმეურნე ყარა მამედ-ოღლიმ ძალათ დაიკავა ამავე კოლმეურნეობის მიწა 0,25 ჰექტარის რაოდენობით და ზედ ბოსტანი გაუშენა. ასევე მოიქცა ჰაჯი-ხალილ ალახვერდი-ოღლი, ჰაჯი ისმაილ-ოღლი და სხვ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები კი ამ არანორმალური მდგომარეობის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებდნენ. ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობის ზოგიერთ წევრს სრულიად არ გააჩნდა საკარმიდამო მიწა.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობზე ოჯახით ცხოვრობს ვინმე მაჰით სონიალ-ოღლი, რომელსაც უკავია ნახევარი ჰექტარი მიწა. არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები კოლმეურნეობაში არ მუშაობენ. თვით მაჰით სონიალ-ოღლი სოფელ ულიანოვკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსია. ასეთი ფაქტები არც ისე იშვიათია ამ კოლმეურნეობაში.

აზომვის პირველი დღე მნიშვნელოვანი მაჩვენებლებით დაამთავრეს ყარაის (თავმჯდომარე ლ. ტერ-არუთინოვი), ტატიანოვკის (თავმჯდომარე გ. დევდარიანი), ულიანოვკის (თავმჯდომარე ბალდასაროვი), ქოსალოს (თავმჯდომარე გ. როსტაშვილი) და სხვ. სასოფლო საბჭოების საკარმიდამო მიწების ამზომავმა კომისიებმა. წინასწარ ჩატარებულმა მოსამზადებელმა მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. აზომვის პირველ დღეს მათ თითქმის არ ჰქონიათ სერიოზული შეცდომები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის უსულგულო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისადმი. მაგალითად სოფ. ქოსალოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მამედ-ჯაფარ პირიევმა აზომვის დაწყებისას მოისურვა ცხენით სადღაც წასვლა. მხოლოდ კომისიის წევრთა აქტიურმა წინააღმდეგობამ აალებინა მას ხელი ამ განზრახვაზე. მაგრამ მას ამის შემდეგაც ფაქტიურად არაფერი გაუკეთებია. იგი თავისი პასიურობით საგრძნობლად აფერხებს კომისიის მუშაობას.

აზომვის პირველ დღეს ადგილი ჰქონდა შეუწყნარებელ აჩქარებას, გეგმის გადაჭარბებით შესრულებით დაინტერესებული ზოგიერთი ამზომავი კომისია დიდი სისწრაფით მუშაობდა. მაგალითად, სოფ. ულიანოვკის ამზომავმა კომისიამ (თავმჯდომარე ამხ. ბალდასაროვი) აზომა 22 ნაკვეთი, სოფელ ქოსალოს—18

ფ. ინწკირველი.

ერთი დღით დაიგვიანეს

თელავი (საკ. კორ.). კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწების აზომვა 1 ივლისს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ თელავის რაიონში ეს სამუშაო ერთი დღის დაგვიანებით დაიწყო. საქ. მიწსახკომმა დააგვიანა აქტის ბლანკების გამოგზავნა. ბლანკები ადგილზე მიღებულ იქნა პირველ ივლისს, რაც მიწის ამზომავი კომისიის თავმჯდომარეებმა ისეთ დროს ჩაიბარეს, რომ აზომვის დაწყება ველარ მოასწრეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიწის ამზომავი კომისიის ზოგიერთმა თავმჯდომარემ ვერ შეიგნო ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა. მაგალითად, წინანდლის კომისიის თავმჯდომარემ შაქრო ფირანაშვილმა მიწის აზომვა დაიწყო 1 ივლისს დილის 6 საათზე, აქტის ბლანკები კი მიიღო საღამოს 7 საათზე. აზომილი მიწის აღრიცხვას კომისია აწარმოებდა უბრალოდ დახაზულ რვეულში, რაც დაუშვებელია. მიწის აზომვა რაიონში ფაქტიურად 2 ივლისს დაიწყო.

შ. მაჭავარიანი

კომისიები შეუჩერებლად მუშაობენ

ცაგერი, 2 ივლისი (ტელეგრაფით საკ. კორ.). 1 ივლისს დილიდან მთელს რაიონში დაიწყო კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწების, ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწების აზომვა. ამ საქმეზე მუშაობს პარტრაიკომის ბიურო და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული 19 კომისია, რომელთა თავმჯდომარეებად გამოყოფილი არიან რაიკომისა და რაიაღმასკომის წევრები და აგრონომები.

მიწის ამზომავი კომისიები კარგად არიან ინსტრუქტირებული. მიწისმზომელები სავსებით უზრუნველყოფილი არიან საჭირო ხელსაწყოებით.

მიწის ამზომავ კომისიებს კოლმეურნეები ყველგან გულთბილად ხვდებიან. აზომვის მიმდინარეობის შესამოწმებლად და კომისიებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა 1 ივლისს ადგილებს მიამაგრა რაიონის 12 პასუხისმგებელი მუშაკი.

გ. ყურაშვილი

დაგვიანებით დაიწყეს

წულუკიძე, 2 ივლისი (ტელეგრაფით საკ. კორ.). გამოყოფილი კომისიების უმრავლესობა 1 ივლისს დილის 8 საათიდან შეუდგა საკარმიდამო მიწების აზომვას. ზოგან კი მუშაობის დაწყება ძალზე დააგვიანეს. მაგ., გუბის სასოფლო საბჭოში კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. აბესაძე დილის 11 საათზე გამოცხადდა. ამის გამო მიწების აზომვა აქ 12 საათამდე არ დაწყებულა.

საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გამოიჩინეს ვასო ცკაურიძემ და ბაგრატ ჯალაღანიამ. ეს ამხანაგები 1 ივლისს დილის 11 საათზე ქალაქ წულუკიძიდან გამგზავრებულიც არ იყვნენ გორდისა და კინჩხის სასოფლო საბჭოებში, სადაც მიწის ამზომავი კომისიის თავმჯდომარეებად არიან გამოყოფილი.

მიწების აზომვა დაგვიანებით დაიწყო აგრეთვე თვით წულუკიძეში (კომისიის თავმჯდომარე ამხ. მ. კობეშავიძე), რის შედეგად დღის სამი საათისათვის კომისიას მხოლოდ 4 საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა აზომილი.

ტ. ჩიქოვანი

მომზადებული შეხვდნენ

1 ივლისს კასპის რაიონის ყველა სოფლსაბჭოებში კომისიებმა პრაქტიკულად დაიწყეს საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა. აზომვის წინ კომისიები უზრუნველყოფილი იყვნენ საჭირო რაოდენობის რულეტებით, აქტების ბლანკებითა და სხვა ხელსაწყოებით.

საკარმიდამო ნაკვეთების ამზომავი კომისიების პირველი და მეორე დღის მუშაობის შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ რაიონში ადგილი ჰქონია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების უხეშ დამახინჯებებს.

მაგალითად, სოფელ კასპის კოლმეურნეობა „ძმობის“ წევრებს ს. თათრიშვილს და ს. ღვინიაშვილს აზომვის შედეგად აღმოაჩნდათ ნორმის ზევით თვითეულს ნახევარნახევარი ჰექტარი მიწა. ამავე სოფელში დიდი ხნის წინათ მცხოვრები მაშიკო შალუტაშვილი, რომელიც ახლა თბილისში მუშაობს, ჰფლობს 0,36 ჰექტარ ვენახს და გაქირავებული აქვს სანახევროდ სადგურ კასპის მტვირთავ მუშა ამხ. ლადო შალუტაშვილზე.

სოფელ ოკამის კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრები ა. გურწიშვილი, ტ. ზანგური, ა. გურამშელი და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ ნორმით გათვალისწინებული საკარმიდამო ნაკვეთები, მაინც შეიჭრნენ საკოლმეურნეო მიწის მასივში.

ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს სოფ. მეტეხშიც. კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობის შედეგად ინდივიდუალური მეურნეები გ. აბუაშვილი, შ. ღვედაძე და გ. გუგულაშვილი ჰფლობენ კოლმეურნეობის საკმაოდ დიდ ფართობს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1 ივლისს სოფელ მეტეხში მომუშავე მიწის ამზომავმა კომისიამ (თავმჯდომარე — ა. ყიფიანი) შეცდომა დაუშვა — აზომილი მიწის ფართობები არ შეჰქონდა ზემდგომ ორგანოების მიერ დამტკიცებულ აქტში. კომისია მხოლოდ რვეულში გადაანგარიშებით კმაყოფილდებოდა. ეს შეცდომა იმავე დღეს გამოსწორებულ იქნა.

დ. რთველიაშვილი

პურის მოსავლის ამორჩევითი აღება

კასპი, 2 ივლისი (საკ. კორ.). სოფელ კასპის კოლმეურნეობა „ძმობაში“ (თავმჯდომარე არტაშ მერებაშვილი) დიდ მნიშვნელობას აძლევენ მოსავლის ამორჩევით და შემჭიდროებულ ვადებში აღებას. კოლმეურნეობამ არ დაუცადა პურის მთელი მასივის მომწიფებას და ნაკვეთ „შამილაში“ 20 ჰექტარზე მომწიფებული პურის აღებას 30 ივნისს შეუდგა. პურს იღებს კომბაინერი ლეო ბინდურაშვილი. პირველ დღეს აღებულ იქნა 6 ჰექტარი პური. სულ კი შემოდგომის ხორბალი ასაღებია 340 ჰექტარზე, მათ შორის კომბაინით ასაღები 250 ჰექტარს შეადგენს.

ს. ყურაშვილი

მიწის ამზომავი კომისიის მუშაობა ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 2 ივლისს.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გრ. ოსმანაშვილი
მ. ჩუბუნიძე
საქმიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოს ინსპექტორები

მტკიცედ დავიცვათ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 27 მაისის დადგენილება „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ კოლოსალურ როლს ითამაშებს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საქმეში.

პარტიისა და ხელისუფლების ეს ისტორიული დადგენილება მთელი თავისი მნიშვნელობით გამომდინარეობს მრავალ მილიონ პატიოსან კოლმეურნეთა ინტერესებიდან. ამ დადგენილების განუხრელად გატარებისათვის საჭიროა კოლმეურნეთა ფართო მასებს დაწვრილებით განუმარტოთ მისი უდიდესი მნიშვნელობა. ნუ დავივიწყებთ, რომ საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და სიმტკიცის ძირითადი წყაროა კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მიწა.

საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანაა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები მტკიცედ დაიცვან განიავებისაგან.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან საქართველოს კოლმეურნეობებში ტარდებოდა მიწათსარგებლობაში არსებულ დამახინჯებათა გამორკვევა, არტელის წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე ზევით საკარმიდამო მიწების ჩამოჭრა. მაგრამ, როგორც შემოწმებით გამოირკვა, ამ ღონისძიების გატარების დროს დაუშვეს სერიოზული შეცდომები. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი ჩამონაჭერი მიწები უნებართვოდ გადასცეს კოლმეურნეობის წევრებს, რომელთაც ნორმაზე ნაკლები მიწა ჰქონდათ, ხოლო სადაც ეს ჩამონაჭერი მიწები არ ეყოთ კოლმეურნეებს, იქ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი სახნავი მიწები გაუნაწილეს, ამის შედეგად, მაგალითად, წალკის რაიონის კოლმეურნეობებში შემცირებულ იქნა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწები 49 ჰექტარით, საგარეჯოში — 69-ით, თიანეთში—18-ით, სამტრედიაში — 27-ით, ოჩამჩირის რაიონის 26 კოლმეურნეობას საერთო ფართობი შეუმცირდა 193 ჰექტარით, წითელწყაროს რაიონში—24 ჰექტარით. ოჩამჩირის რაიონის მარტო ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სახნავი მიწები შემცირებულ იქნა 10 ჰექტარით და ა. შ.

არის რაიონები, სადაც ადგილი აქვს კოლმეურნეობებზე სახელმწიფო აქტით სამუდამო სარგებლობისათვის მიმაგრებული მიწების დროებით სარგებლობაში სხვა კოლმეურნეობებზე ან ინდივიდუალურ მეურნეობებზე გადაცემას. მაგალითად, გუდაუთის რაიონის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საზოგადო მიწებიდან 0,75 ჰექტარი მიწა გადასცეს ამავე კოლმეურნეობიდან გარიცხულს მახათა გვაბიჩიას. მსგავს მაგალითებს ადგილი ჰქონდა გალის რაიონშიც.

საგარეჯოს რაიონში უფრო შორს წავიდნენ. აქ რაიონის სხვა ხელმძღვანელ მომუშავეებთან ერთად კოლმეურნეობათა მიწებს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეებიც განაგებენ. სოფ. გიორგიწმინდის კოლმეურნეობა „განთიადის“ კუთვნილი საზოგადოებრივი მიწის ფართობიდან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით 5 ჰექტარი სახნავი მიწა ერთი წლით გადაეცა სოფ. მარიამჯვრის მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობას. ამავე რაიონის სოფ. პატარძეულის გოგლიძის სახელობის კოლმეურნეობას სახელმწიფო აქტით მიმაგრებული საზოგადოებრივი მიწებიდან რაიაღმასკომისა და რაიმიწგანის განკარგულებით ჩამოეჭრა 25 ჰექტარი სახნავი მიწა და ერთი წლის ვადით გადაეცა ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

ზესტაფონის რაიონის სოფ. ცხენთავის 7 ნოემბრის სახელობის კოლმეურნეობის 18 ჰექტარი სახნავი მიწა რაიაღმასკომის სანქციით გადაცემული აქვს სოფ. მეორე-სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რამდენად უპასუხისმგებლოდ ეკიდება რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მიწებს, როგორ ანიავებენ მას კოლმეურნეობის წევრთა პირადი ინტერესებისათვის და როგორ არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარებული აზომვით გამოირკვა, რომ წულუკიძის რაიონის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრს იერემია კაკაბაძეს უნდა ჩამოსჭროდა 0,69 ჰექტარი ზედმეტი საკარმიდამო მიწა, ს. კაკაბაძეს — 0,15, მაგრამ ეს მიწები დღემდე ისევ მათ სარგებლობაშია. ასეთივე მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელის ტელმანის სახელობის, დუშეთის რაიონის სოფ. ქინვალის ცხაკაიას სახელობის, სოფ. ბაზალეთის ბერიას სახელობისა და ჭიათურის, გურჯაანის და სიღნაღის რაიონების მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით არტელის მიწის ერთიანი მასივი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს, მაგრამ ამას ბევრგან ანგარიშში არ უწევენ. მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მშენებლობის საჭიროებისათვის ხელმძღვანელი ორგანოების უნებართვოდ ცხაკაიას რაიონის სოფ. პირველი მაისის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ჩამოერთვა 1 ჰექტარი მიწა, შხეფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას 2 ჰექტარი და სხვ.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი 1938 წლის შემოდგომაზე შეუდგა სახლების მშენებლობას სოფ. გელათის ენგელსის და სოფ. კურსების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებზე სახელმწიფო აქტით მიმაგრებულ ფართობზე. ამის შედეგად კოლმეურნეობებს მიწის ფართობი შეუმცირდათ 15 ჰექტარით. ტყიბულის რაიაღმასკომი და რაიმიწგანი ზერელედ მოეკიდნენ ამ საქმეს და მხოლოდ ტრესტის სახელზე მიწერილი ქაღალდით დაკმაყოფილდნენ. ისინი ტრესტს სთხოვდნენ სათანადო მასალების წარმოდგენას ნაკვეთის მათზე გასაფორმებლად, კოლმეურნეობები კი ტრესტის ხელმძღვანელთა ასეთი მოქმედებით უკმაყოფილონი არიან.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებას მთელ რიგ რაიონებსა და ცალკე სოფლებში ახერხებენ აგრეთვე საკოლმეურნეო კომლთა ყალბი გაყოფით. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სოფლსაბჭოს ზოგიერთი თავმჯდომარე ფორმალურად ეკიდება საქმეს, არ ამოწმებს მიზეზებს და რეგისტრაციაში ატარებს ყოველნაირ გაყრას. თავისთავად ცხადია, რომ ამ წესით გაყრილი კომლი, როგორც სამეურნეო ერთეული, სარგებლობს წესდებით მინიჭებული უფლებებით და ინარჩუნებს ნორმაზე მეტ მიწას.

საქმიწსახკომის და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ვალია მთელი სერიოზულობით მოჰკიდონ ხელი საქმეს, შექმნან ყოველგვარი წინაპირობები იმისათვის, რომ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა და კოლმეურნეობების სხვა არაწევრთა მიწების აზომვა, რაც 1 ივლისიდან დაიწყო, სრული სიზუსტით და დაწესებულ ვადებში ჩატარდეს.

უნდა ითქვას, რომ აზომვისათვის მზადებას მთელ რიგ რაიონებში სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელია მუშაობა თვით საქმიწსახკომის მიწათმოწყობის სამმართველოსი, რომელმაც ისიც კი ვერ შესძლო, რომ მიწისმზომელები ადგილებზე დროულად მიევლინებინა.

პარტრაიკომებმა, რაიაღმასკომებმა, მიწგანებმა, მტს-ებმა, სოფლსაბჭოებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ყოველგვარი პირობები უნდა შექმნან კომისიებისა და მიწისმზომელების შეუფერხებელი მუშაობისათვის. საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა უნდა ჩავატაროთ ისე, როგორც ამას პარტია და მთავრობა მოითხოვს.

მიწა „მზითვად“ გაატანეს

სტალინირი (საკ. კორ.). სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეობებში კვლავ უდიდესი ინტერესით გრძელდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილების განხილვა. დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით კოლმეურნეები ამჟღავნებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯების ფაქტებს.

ჯავის რაიონის სოფ. მსხლების კოლმეურნეობაში 266 მუშა-ხელიდან სამუშაოდ სისტემატიურად მხოლოდ 99 კაცი გამოდის, დანარჩენებს მთელი წლის განმავლობაში 5-დან 30-მდე შრომადღე აქვთ გამომუშავებული. კოლმეურნეობა კი მუშა-ხელის „ნაკლებობას“ განიცდის. ამ კოლმეურნეობის წევრს ვ. ცხოვრებოვს პირველ იანვრიდან დღემდე არცერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული, „კოლმეურნე“ ხ. ცხოვრებოვმა თვითნებურად მიატოვა კოლმეურნეობა და კერძოდ მუშაობს დურგლად. მას ამავე დროს აქვს წესდებით გათვალისწინებული საკარმიდამო მიწის სრული ნორმა.

მსგავს მაგალითებს ადგილი აქვს სოფ. ბუზალის კოლმეურნეობაშიც. თ. და ე. ქარსანოვები, ხ. და ლ. გასიევები ფორმალურად ირიცხებიან კოლმეურნეობაში, მათ ხუთთვენახევრის განმავლობაში არცერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ. გ. ჯიოევმა საერთო საკოლმეურნეო ფართობიდან მიისაკუთრა 0,35 ჰექტარი მიწა, საერთო სამუშაოზე კი არ გამოდის.

კიდევ მეტი, სოფ. ქურთის კოლმეურნეობის წევრმა სიკა ხუცინაშვილმა თავის გერს ვ. გოგინაშვილს „მზითვად“ მისცა 0,25 ჰექტარი მიწა. ლ. გოგინაშვილის ქმარი რამდენიმე წელია მოსკოვში ცხოვრობს, თვითონ კი ორი წელია თბილისშია. ამრიგად, ზემოაღნიშნული მიწით ფაქტიურად თვით ს. ხუცინაშვილი სარგებლობს, რომელსაც, გარდა ამისა, საკუთარი საკარმიდამო მეურნეობაც აქვს.

სტალინირის რაიონის სოფ. ზემოჭარების კოლმეურნეობის გამგეობამ ბ. და გ. ლაფაჩებს ნორმის ზევით თვითეულს 0,25 ჰექტარი მიწა კოლმეურნეობის ფართობიდან მოუზომა, მაშინ როდესაც მათ კოლმეურნეობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ.

სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეები, ერთსულოვნად იწონებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილებას, ბოლშევიკურად ამჟღავნებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გატარებაში დაშვებულ დამახინჯებებს და იბრძვიან ამ დამახინჯებათა გამოსწორებისათვის.

კ. ტრაპაიძე

საკოლმეურნეო მიწის დამტაცებლები

აბაშა (საკ. კორ.). ცუღლუტები და ზარმაცები ყოველგვარ ხრიკებს მიმართავენ, რომ მოახერხონ საკარმიდამო ნორმის ანგარიშში ზედმეტი მიწების მიღება. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების დამუშავებასთან დაკავშირებით აბაშის რაიონში მრავალი ასეთი ფაქტი გამომჟღავნდა.

სოფ. პირველი მაისის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნესტორ გოგიშვილი ფორმალურად გაეყარა თავის მოხუცებულ შვილებს და 2 ჰექტარი მიწის მისაკუთრება მოახერხა. ამავე სოფლის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი პავლე ნინუა 2 ჰექტარ მიწას ჰფლობს, ხოლო სოფ. მარნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს სევე დუნდუას, რომელიც ფორმალურად გამოეყო ოჯახს, 3 ჰექტარი მიწა აქვს.

სოფ. მარნის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრი გიორგი პიტავა გაეყარა თავის მოწიფულ შვილებს, რომლებიც თბილისში იმყოფებიან. შვილებმა ცალცალკე თითო ჰექტარი მიწა მიიზომეს და თვალის ასახვევად შიგ ქოხები ჩადგეს. რაიონის სახალხო სასამართლომ ეს მიწა კოლმეურნეობას გადასცა. გ. პიტავამ კოლმეურნეობას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ამ მიწის გამოყენებაში. „გაყოფილი“ შვილების მიწას ახლა თვით გ. პიტავა პატრონობს და მას დაქირავებული შრომით ამუშავებს.

სოფ. ნორიოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ელიზბარ თოფურიამ თავისი მოწიფულ შვილი ღამით ჩაასახლა კოლმეურნეობის ფართობში, ასევე მოიქცა სოფ. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი იოსებ გეჯავა, რომლის ოჯახი ამჟამად 4 ჰექტარ მიწას ჰფლობს.

სოფ. პირველი მაისის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალექსანდრე ხონელიძე ოჯახს ფორმალურად გამოეყო და კოლმეურნეობის ფართობში ქოხი ჩაიდგა. ა. ხონელიძე სინამდვილეში მამასთან ცხოვრობს და საკოლმეურნეო შრომას გაურბის.

საკოლმეურნეო მიწის დამტაცებლებს პასუხი უნდა მოეთხოვოს.

შ. ჭანტურია

საფრანგეთის მთავრობის სხდომა

პარიზი, 1 ივლისი (საკდესი). დღეს, — იუწყება ჰავასის სააგენტო, — შესდგა საფრანგეთის მთავრობის სხდომა. საერთო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა მთავრობის მეთაურმა დალადიემ. მან განაცხადა, რომ საერთო ვითარება კვლავ მეტად სერიოზულია. დალადიემ მთავრობის წინაშე დასახა მთელი რიგი ზომები, რომელთა მიზანია „საფრანგეთის საქმიანობის გაძლიერება“, კერძოდ, დეკრეტი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს 4.400 მილიონი ფრანკი დახარჯოს ნაციონალური თავდაცვის საქმისათვის.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე.

ჰავასის სააგენტომ დაგზავნა სპეციალური განმარტება იმის შესახებ, რომ „ზომები საფრანგეთის საქმიანობის გასაძლიერებლად“, რაზედაც ლაპარაკი იყო მთავრობის სხდომაზე, ამჟამად მხოლოდ ფინანსიური ხასიათის საკითხებს ეხება და არ ჰგულისხმობს არავითარ ღონისძიებას, რომელიც ითვალისწინებდეს ახალ მობილიზაციას.

საფრანგეთ-ინგლისის სავაჭრო მოლაპარაკება

პარიზი, 1 ივლისი (საკდესი). სააგენტო „აჟანს ეკონომიკ ე ფინანსიერი“ გადმოგვცემს, რომ გუშინ მოელოდნენ ინგლის-საფრანგეთის სავაჭრო მოლაპარაკების დამთავრებას. მაგრამ უკანასკნელ მომენტში მოლაპარაკების დამთავრებას ახალ დაბრკოლებებს წააწყდა. სააგენტო მაინც შენიშნავს, რომ ეს დაბრკოლებანი მეორეხარისხოვანი ხასიათისაა და რომ მოლაპარაკება, ალბათ, საბოლოოდ მალე დამთავრდება.

პოლონეთ-ლიტვის ეკონომიური ურთიერთობა

ვარშავა, 1 ივლისი (საკდესი). პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ლიუბაშევსკი კაუნასს გაემგზავრა, რათა გაეცნოს პოლონეთ-ლიტვის ხელშეკრულების რეალიზაციის მსვლელობას და დაიწყოს მოლაპარაკება ლიტვის მთავრობასთან.

გამოირკვა, რომ პოლონეთ-ლიტვის სამეურნეო საქონელ გაცვლის ბალანსი ლიტვისათვის პასიური აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ლიტვაში გატანილი საქონლის ღირებულება ლიტვიდან პოლონეთში შემოტანილი საქონლის ღირებულებას აღემატებოდა 2,5 მილიონი ლიტით (ლიტვის ფულის ერთეული). გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დროს ლიტვის ხელისუფლებამ, სავაჭრო ბალანსის შეთანასწორების მიზნით, შესწყვიტა ნებართვის გაცემა პოლონეთის საქონლის შემოტანაზე. ლიტვის ბანკმა აკრძალა ტურისტული ჩეკების გაცემა იმ პირთათვის, რომლებიც პოლონეთში მიემგზავრებიან, და შემოიღო მთელი რიგი სავალუტო შეზღუდვანი პოლონეთ-ლიტვის საზღვრის გადასვლის დროს.

გულანსუში მდგომარეობა მწვავდება

ტოკიო, 1 ივლისი (საკდესი). როგორც იაპონიის გაზეთები იუწყებიან, გულანსუში მდგომარეობა მწვავდება. იაპონიის ამოელმა კონსულმა უციდამ ტოკიოდან ახალი ინსტრუქციების მიღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკება დაიწყო უცხოელ სახელმწიფოთა გულანსუელ კონსულებთან. უციდა დაჟინებით მოითხოვდა იაპონიის ყველა მოთხოვნის მიღებას. მაგრამ უცხოელ სახელმწიფოთა კონსულებმა კატეგორიულად უარჰყვეს სეტლმენტის მმართველობის რეორგანიზაცია იაპონელთა მიერ წაყენებულ პირობების მიხედვით.

დღეს ამოაში უციდამ და იაპონიის საზღვაო ხელისუფლებამ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ბრალსა სდებენ ინგლისელებს მოლაპარაკების ჩაშლაში. თუ ინგლისის ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს იაპონიის მოთხოვნებს, — ნათქვამია განცხადებაში, — გულანსუში მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდება, სეტლმენტის ბლოკადა გაძლიერებული იქნება და კუნძულზე გადასხმული იქნება იაპონელ მეზღვაურთა დამატებითი დესანტი.

იაპონიის ავიაციის დანაკლისი ჩინეთში

ლონდონი, 1 ივლისი (საკდესი). ჩინეთის საჰაერო ძალების შტაბის მიერ 30 ივნისს გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ამა წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა იაპონიის 66 თვითმფრინავი, მათ შორის—29 მძიმე და 5 მსუბუქი ყუმბარმტყორცნი. ჩამოგდებული თვითმფრინავების საერთო რიცხვიდან იაპონიის 24 თვითმფრინავი ჩინეთის ავიაგამანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს. კომუნიკეში აღნიშნულია ის დიდი დანაკლისი, რომელიც განიცადა იაპონიის ავიაციამ ამა წლის თებერვალში, როდესაც ჩინელებმა იაპონიის 22 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება

ლონდონი, 1 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ჯერ კიდევ არ არის დაწესებული თარიღი, თუ როდის დაიწყება ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება ტოკიოში ტიანძინის საკითხზე. შესაძლოა, რომ მოლაპარაკება დაიწყება მომავალ კვირაში.

ამავე დროს აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დღეებში ტიანძინში მდგომარეობა არ შეცვლილა.

ამერიკის შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვისათვის

ვაშინგტონი, 1 ივლისი (საკდესი). ხანგრძლივი და გაცხარებული განხილვის შემდეგ წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვის შესახებ. ამის მიუხედავად, პალატამ გადასწყვიტა დარჩეს ყველა მეომარ ქვეყანაში იარაღის გაზიდვის ემბარგო (აკრძალვა). ამგვარად, ამ საყურადღებო საკითხში მიღებული კანონპროექტი ეწინააღმდეგება რუზველტის, ჰელისა და სხვა ოფიციალურ პირთა განცხადებას, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ იარაღის გაზიდვის ემბარგოს დატოვება მხოლოდ აქეზებს აგრესორებს.

პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემბარგოს შესახებ ჩამოყალიბებულია უფრო რბილად, ვიდრე ნეიტრალიტეტის შესახებ არსებულ კანონში. ეს გადაწყვეტილება უკანონოდ აცხადებს მეომარ ქვეყნებში იარაღისა და სამხარი მასალის ექსპორტს, მაშინ როდესაც ნეიტრალიტეტის კანონი, დღევანდელი მისი სახით, ჰკრძალავს არამარტო იარაღისა და სამხარი მასალის, არამედ „ომის იარაღის“ ექსპორტსაც. რუზველტის ზოგიერთი შემხრე ფიქრობს, რომ სიტყვების „ომის იარაღის“ ამოღება საშუალებას მისცემს ამერიკის შეერთებულ შტატებს გაზიდოს მეომარ ქვეყნებში თვითმფრინავები, ავტომობილები და სხვა მნიშვნელოვანი მასალა.

წარმომადგენელთა პალატამ იარაღის გაზიდვის ემბარგოს დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 195 ხმის უმეტესობით 188 ხმის წინააღმდეგ. რესპუბლიკელი - იზოლაციონისტები და დემოკრატები — რუზველტის მოწინააღმდეგენი გაერთიანდნენ, რათა ჩაეფუშათ რუზველტის წინადადება.

შესწორებით, რომელიც ითვალისწინებს ემბარგოს დატოვებას, წარმომადგენელთა პალატამ 200 ხმის უმეტესობით 188 ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი მთლიანად. სენატს ჯერ არ განუხილავს ეს კანონპროექტი. ამერიკის გაზეთების ზოგიერთი ვაშინგტონელი კორესპონდენტი ფიქრობს, რომ წარმომადგენილთა პალატაში ჩატარებული კენჭისყრის შედეგები აძლიერებენ იზოლაციონისტურ ელემენტებს სენატში.

მოკლე ცნობები

⊙ რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ოქროს მარაგი 1938 წლის 30 სექტემბრის 690 მილიონ გირვანქა სტერლინგიდან, 1939 წლის 31 მარტისათვის შემცირდა 594 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე.

⊙ ლონდონის დასავლეთ ნაწილში აფეთქებათა მოწყობაში მონაწილეობისა და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვისათვის, „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ წევრებს ბრედფორდს, დაუერს, მარეას, მაკალირსა და ლაიონს გუშინ ლონდონში ოც-ოცი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

⊙ ამა წლის იანვარში ქალაქ რანპურში (ორისის პროვინცია, ინდოეთი) მოკლულ იქნა ბრიტანეთის პოლიტიკური აგენტი. ინდოეთის გაზეთ „ადვანსის“ ცნობით, რანპურში გასამართლებულ იქნენ ის პირნი, რომელთაც ამ მკვლელობის ჩადენა ბრალდებოდათ. სასამართლომ 3 კაცს სიკვდილი მიუსაჯა, 8 კაცს — სამუდამო პატიმრობა და 5 კაცს — პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

⊙ ლენგდეილის ქუჩაში (სტეპნის რაიონი, ლონდონი) ბინის დამქირავებელთა გაფიცვა მათი გამარჯვებით დამთავრდა. სახლის პატრონები დასთანხმდნენ — კვირაში 2-8 შილინგით შეამცირონ ბინის ქირა, დაუყოვნებლივ შეაკეთონ ბინები, შემდეგ კი რემონტისათვის ყოველწლიურად გადასდონ 1.500 გირვანქა სტერლინგი. გარდა ამისა, სახლის პატრონები დასთანხმდნენ იმ მდგმურთა ხელახლა ჩასახლებას, რომლებიც გაფიცვის დროს ძალდატანებით გაასახლეს.

⊙ ბერლინში ჩავიდა სლოვაკთა დელეგაცია გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისათვის.

⊙ ლისაბონში ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას გერმანიასა და პორტუგალიას შორის. შეთანხმება ეხება პორტუგალიის სავაჭრო გაცვლა-გამოცვლას ეგრეთწოდებულ „ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატთან“.

⊙ ინგლისში ერთ მილიონზე მეტ აირწინაღს ამზადებენ ორ წლამდე ასაკის ბავშვთათვის.

⊙ ვოლშტინის რაიონში (პოლონეთის ტერიტორია) იძულებული გახდა დაშვებულიყო გერმანიის თვითმფრინავი. დაშვების მიზეზი ის იყო, რომ თვითმფრინავს გზა შეეშალა და საწვავი მასალაც აღარა ჰქონდა. თვითმფრინავი და მფრინავები გერმანიაში დააბრუნეს.

⊙ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მოიწონა კანონპროექტი 1939-1940 საბიუჯეტო წელს (საბიუჯეტო წელი 1-ლ ივლისს დაიწყო) უმუშევართა დასახმარებლად (საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია, ფულადი დახმარება და სხვ.) 1.755 მილიონი დოლარის გადადების შესახებ. უმუშევართა დასახმარებლად გამოყოფილი ასიგნობანი შარშანდელ საბიუჯეტო წელთან შედარებით შემცირებულია 803 მილიონი დოლარით.

ჟორჟ-ზანდ

135 წელი დაბადებიდან

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში საფრანგეთში სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მწერალი ქალი, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა თავისი დამოუკიდებელი და გაბედული იდეებით. ამ მწერლის ფსევდონიმია ჟორჟ-ზანდ, ნამდვილი სახელი ავრორა დიუპენ. იგი არისტოკრატიული ოჯახის შვილია. მამა მეფის შთამომავლისა იყო. ავრორა დიუპენმა კარგი განათლება მიიღო. მონასტერში სწავლის დროს რელიგიურმა განწყობილებებმა გაიტაცა, მაგრამ მალე გაეცნო XVIII საუკუნის ფილოსოფოსთა ნაწერებს, გამოჩენილი პოეტებისა და მორალისტების წიგნებს (ლოკი, მონტესკიე, პასკალი, დანტე, შექსპირი და სხვ.). ამ ნაცნობობის შედეგად ავრორა დიუპენმა დაჰკარგა რწმენა, ის პესიმიზმმა შეიპყრო და, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო მის წრეში, მისთხოვდა ცოლად ადამიანს (პოლკოვნიკი დიუდევანი), რომელსაც კარგად არც კი იცნობდა.

ეს ქორწინება ტრაგედიად გადაიქცა ავრორა დიუპენის ცხოვრებაში. თავისუფლების, საკუთარი ადამიანური ღირსების მოყვარული ქალი ვერ შეურიგდა ქმრის გარყვნილებასა და დესპოტობას. ავრორა გასცილდა ქმარს, დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება და სცადა თავისი ღონე ლიტერატურაში.

პარიზში (1831 წ.) იგი დაუკავშირდა თავის მეგობარს ჟიულ სანდოს, რომელთანაც ერთად დაიწყო რომანის წერა. 1832 წელს ავრორა დიუპენმა ჟორჟ-ზანდის ფსევდონიმით უკვე გამოსცა თავისი პირველი რომანი „ინდიანა“, რომლითაც მალე მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ჟორჟ-ზანდის შემოქმედება ორ პერიოდად იყოფა. 30-იან წლებს ეკუთვნის მისი ცნობილი რომანები—„ინდიანა“, „ვა-

ლენტინა“, „ლელია“, „ჟაკი“ და სხვები. ამ რომანებში ჟორჟ-ზანდმა მკვეთრად დასვა ქალის თავისუფლების პრობლემა. მწერალი სასტიკად ილაშქრებს ქმრის დესპოტიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს რომანები ძირითადად მორალურია და არა სოციალური. ავტორი არ მოითხოვს იმ სოციალური სისტემის შეცვლას, რომელმაც წარმოშვა ქალის და კაცის დამოკიდებულების ასეთი მიუღებელი ფორმები. იგი ქალისთვის მოითხოვს ერთ უფლებას—ქმრის არჩევას თავისი გულის მოთხოვნილების მიხედვით, სიყვარულის თავისუფლებას. ამ საკითხს ის სჭრის ცალკე პიროვნების ზნეობრივი გმირობას, მსხვერპლის გაღების გზით. ასე, მაგალითად, რომანში „ჟაკი“ გმირი თავს იკლავს და ამით გზას უხსნის ქალს.

40-იან წლებში ჟორჟ-ზანდის გარემოცვა იცვლება. იგი ცხოვრობს ცნობილ პოეტ მიუსესთან, ტრიალებს ისეთ გამოჩენილ მოაზროვნეთა შორის, როგორიც იყვნენ შოპენი, ლამენე, პიერ ლერუ, მიშელ ბურჟი და სხვები. ჟორჟ-ზანდში დაიწყო გარდატეხა. იგი მიხვდა, რომ პიროვნების თავისუფლება არსებული საზოგადოებრივი სისტემის პირობებში არ შეიძლება. ამ პერიოდის რომანებში („მოხეტიალე ქარგალი“, „კონსუელო“, „მეწისქვილე ანჟიბადან“ და სხვებში) ჟორჟ-ზანდი უკვე ეძებს სოციალურ სიმართლეს. ამ რომანებში ერთმანეთშია გადაჯაჭვული სენ-სიმონის და ფურიეს იდეები. მწერალი სოციალისტურ იდეებს ჰქადაგებს, გვიხატავს მშრომელთა წრეების ცხოვრებას, ააშკარავებს სოციალურ უსამართლობას.

რასაკვირველია, ჟორჟ-ზანდი არასდროს არ ყოფილა რევოლუციონერი ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით; მის შემოქმედებას მუდამ ახლდა მომკვდავი ფეოდალიზმის პოეზიის მელანქოლიური სევდა. მის რომანებში მკვეთრად მოსჩანს კაპიტალისტური საზოგადოების სასტიკი მატერიალიზმი და იგრძნობა გმირული ენტუზიაზმი პროლეტარიატისა, რომელიც იმ დროს უკვე ამჟღავნებდა თავის შესაძლებლობებს.



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ერთერთი ულამაზესი კუთხე — ტბა და ტბის ნაპირზე სასტუმრო.
ფოტო ყარაევისა

პედაგოგთა ახალი კადრები

1 ივლისს საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში შესდგა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-ლექტორთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი.

მიმდინარე წელს ინსტიტუტმა საქართველოს სახალხო განათლების ფრონტს მისცა 631 მასწავლებელი. ამათგან 83-მა ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა.

1938-39 სასწავლო წლის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ერ. ბურჭულაძე. პროფ. ხიკო კეცხოველმა, პროფ. აკ. შანიძემ, შ. მიქელაძემ და სხვ. თავიანთ სიტყვებში ილაპარაკეს კურსდამთავრებულ სტუდენტთა ენერგიულ მუშაობაზე და უსურვეს ახალგაზრდა პედაგოგებს წარმატებით მუშაობა სახალხო განათლების ფრონტზე. სიტყვით გამოსული კურსდამთავრებული სტუდენტები ჯიშიაშვილი, გურამიშვილი და ბაირამოვი აღნიშნავდნენ იმ გულთბილ მზრუნველობასა და ყოველდღიურ დახმარებას, რომელსაც ისინი გრძნობდნენ მეცადინეობის მთელ პერიოდში. მათ სიტყვა მისცეს თავიანთ აღმზრდელებს, რომ საბჭოთა სკოლებში იმუშავებენ სრული შესაძლებლობით და სავსებით გაამართლებენ საბჭოთა მასწავლებლის საპატიო სახელს.

ინსტიტუტმა დააჯილდოვა 23 ფრიადოსანი კურსდამთავრებული.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

დასრულდა აჭარის თეატრის სეზონი

ბათუმი, 2 ივლისი. (ტელეფონით საქ. კორესპონდენტისაგან). აჭარის სახელმწიფო დრამის თეატრმა მიმდინარე სეზონი გოგოლის პიესის „რევიზორის“ დადგმით დაამთავრა. „რევიზორს“, რომელიც რეჟისორმა ვლ. ჩომახიძემ დადგა, ბათუმის საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა.

1938-39 წლ. სეზონის განმავლობაში თეატრმა მაყურებლებს უჩვენა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, ს. შანშიაშვილის „ფოლადაური“, გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი“ და გ. თაქთაქიშვილის „ხალხის რჩეული“. განახლებული დადგმებიდან წარმატებით მიდიოდა ს. შანშიაშვილის „არსენა“, ტურების და შეინინის „პირისპირ“, გ. მდივნის „სამშობლო“ და „ბრმა“ და გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“.

დასის მთელი შემადგენლობა ამჟამად შვებულებაშია. თვენახევრის შემდეგ თეატრი შეუდგება მზადებას მომავალი სეზონისათვის. 1939-40 წლ. სეზონში განზრახულია 8 ახალი პიესის დადგმა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაძლიერდება დასის შემადგენლობა. თეატრის მომავალი სეზონი გაიხსნება გოგოლის „რევიზორით“.

ქ. დოგორჯგინიძე

ეთნოგრაფიული გუნდების გასტროლები

29 ივნისს საგასტროლოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი ორდენოსან კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით. გუნდი პირველ კონცერტს გამართავს ქ. ვორონეჟში. შემდეგ გაემგზავრება ტულაში, რიაზანში, კურსკში, სოჭაში, იალტაში, კისლოვოდსკში, ევპატორიაში და, ბოლოს, მოსკოვში, სადაც გამოვა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

გუნდმა საგასტროლოდ გამგზავრებამდე დიდი მუშაობა ჩაატარა რეპერტუარის გასაფართოვებლად. შესწავლილ იქნა სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და გადიდებულ იქნა გუნდის შემადგენლობა.

30 ივნისს ქ. ორჯონიკიძეში გაემგზავრა აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი მ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით. ეს გუნდი ორჯონიკიძიდან გაემგზავრება დონბასში, უკრაინის სხვა ქალაქებში და მოსკოვში, სადაც აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

15 ივლისს საგასტროლოდ გაემგზავრება აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი დ. კავსაძის ხელმძღვანელობით, რომელიც გამართავს კონცერტებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, მოსკოვისა და ლენინგრადის ჩათვლით.

საგასტროლოდ მიემგზავრება უკრაინასა, მოსკოვსა და ლენინგრადში მეჩონგურეთა ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის პროგრამაში შეტანილია ქართული ხალხური ცეკვები და საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები. მეჩონგურეთა ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრება 14 ივლისს. იგი პირველ კონცერტებს გამართავს კიევში.

ტანმოვარჯიშეთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაზე

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ხაზით 2 ივლისს, ქ. როსტოვში ჩატარდება სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ტანვარჯიშში.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირმა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნა 12 კაცი — რუსთაველის თეატრისა, სახელმწიფო კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის და ქ. სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრის ტანმოვარჯიშენი.

თათართა სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი თბილისში

საქ. სახ. ესტრადის საზაფხულო თეატრში ამჟამად მიდის თათართა სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები. ანსამბლის მხატვრ. ხელმძღვანელია ა. ს. კლუჩარიოვი, ხორმეისტერი ზელიხა ახმეტოვა, ბალეტმეისტერი ი. მუკი.

ჯერ ერთი წელიც არ შესრულებულა, რაც ეს ანსამბლი არსებობს, მაგრამ ეტყობა, რომ მას დიდი მუშაობა ჩაუტარებია საინტერესო რეპერტუარის შესაქმნელად.

თათარმა ხალხმა თავის მრავალსაუკუნიანი ისტორიის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი სიმღერა შექმნა სამშობლოსათვის თავდადებაზე, სიყვარულზე და გმირობაზე, სიბრძნეზე და მეგობრობაზე. ფართო საზოგადოებისათვის მათი გაცნობის შესაძლებლობა თათართა ხალხს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა.

ჩვენი გასტროლიორი თათართა ხალხის ამ მდიდარ შემოქმედებას საუცხოოდ გადმოგვცემს. კონცერტები ყოველთვის დიდი ინტერესით ტარდება და დიდძალ ხალხს იზიდავს.

ანსამბლის რეპერტუარშია როგორც თათართა, ისე სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები. თავისი ნაციონალური ცეკვა-სიმღერების გარდა ანსამბლი დიდი წარმატებით ასრულებს ბაშკირთა, ყირიმის თათართა და ბელორუსულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს.

გრიბოედოვის თეატრი ბათუმში

ბათუმში საგასტროლოდ ჩავიდა და აჭარის თეატრში სპექტაკლებს უჩვენებს თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრი, რომლის საუკეთესო დადგმებს წელს მესამედ ნახულობს ბათუმელი მაყურებელი.

2 ივლისს თეატრი უჩვენებს პოგოდინის პიესას „თოფიან კაცს“. ნაჩვენები იქნება აგრეთვე ტურებისა და შეინინის „გენერალური კონსული“, ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, ნაიდენოვის „ვანიუშინის ბავშვები“, შკვარკინის კომედია „უბრალო გოგონა“ და სხვ. თეატრი ბათუმში საგასტროლოდ ერთ თვეს დარჩება და უჩვენებს 25 სპექტაკლს.

თბილისის საქალაქო შეჯიბრება სანადირო თოფების სროლაში მფრინავ თეფშებზე. სურათზე: ბ. ოსიპოვი (პირველი ადგილი ადგილიდან და მისვლით სროლაში), ე. მიხაილოვა (პირველი ადგილი ქალთა შორის), ვ. ჯაბახიძე (თბილისის ჩემპიონი სროლის ყველა სახეობათა კომპლექსში). ფოტო რ. აკოფოვისა

ნიაღვრის შედეგები თბილისში

1 ივლისს ღამით მოსულმა კოკისპირულმა წვიმით გამოწვეულმა ნიაღვარმა ქალაქს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ბერიას სახელობის მოედანი, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტები, საბჭოს ქუჩა, მიასნიკოვის ქუჩა, შაუმიანის ქუჩა და მთელი რიგი სხვა ქუჩები ქალაქის სხვადასხვა უბნებში ნიაღვარმა მოსილა ლამითა და ხრეშით დაჰფარა. ბევრგან ნიაღვარი შეიჭრა ეზოებში და აავსო სარდაფები. ბევრგან დააზიანა სახლები. პაპანინის ქუჩის მესამე შესახვევში № 13 სახლის კედელი იმდენად დაზიანდა, რომ მოსალოდნელია მისი ჩამონგრევა.

ნიაღვარმა გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლიც. შაუმიანის ქუჩაზე გადასვლისას ნიაღვარმა გაიტაცა სამი უცნობი მოქალაქე. ერთი მათგანი იპოვნეს იქვე ხევში დამხრჩვალი. იგი აღმოჩნდა შორაპნის ქ. № 32 მცხოვრები სარდიონ გიორგის-ძე ლეკიშვილი. დანარჩენი ორი კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ნიაღვრის შემდეგ მტკვრის ნაპირას იპოვნეს შუახნის მამაკაცის გამორიყული გვამი. დამხრჩვალს არავითარი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. გვამი გადასვენებულია ქალაქის 1 საავადმყოფოს პროზექტურაში.

მიასნიკოვის ქუჩაზე მოვარდნილმა ნიაღვარმა დაანგრია ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის მზა პროდუქციის საწყობი, რომელშიაც შეკრული ფეხსაცმელი იყო. ნაპოვნია 78 წყვილი ფეხსაცმელი, ზარალი გამორკვეული არ არის.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნები: რუსუდან ხარაძის „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით, ფასი ყდით 10 მან. 50 კაპ. და ვ. ბარდაველიძის „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“, პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ფასი ყდით 11 მან. 50 კაპ.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

3 ივლისს 26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში — ამხ. ფრიშენბერგის ლექცია თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 1668403, გაცემული ამავე რაიკომის მიერ სერაპიონ იასონის-ძე ეზიეშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

O

3 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა თათბირი.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — სოროჩინის ბაზრობა, ხაბანერა (ფერადი ფილმები).
„ოქტომბერი“ — ზურგი და ფრონტი.
„დამკვრელი“ (ზამთრის) — ესკადრილია № 5.
„დამკვრელი“ (საზაფხ.) — ალმასების ხეობა.
„კომკავშირელი“ (ზამთრის) — შემთხვევა პატარა სადგურზე.
„კომკავშირელი“ (საზაფხ.) — შემთხვევა პატარა სადგურზე.
რ. ლუქსემბურგის სახ. — ესკადრილია № 5.
„სპარტაკი“ — დიდი ქალაქის ჩირაღდნები.
26 კომისრის სახ. — ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდებოდა.
„კომინტერნი“ — ქირურგია.
„ახალი ამბები“ — დიადი ფიცი.

შემთხვევები

მკვლელი ქმარი. ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მომხდარი ჩხუბის დროს გ. ი. მერაბოვმა (წინანდლის შესახ. № 11) 9 მძიმე ჭრილობა მიაყენა დანით თავის ცოლს მოქ. ე. რობაქიძეს. დაჭრილი უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა. მკვლელი დაპატიმრებულია.

დაჭრა. ჩხუბის დროს ა. ცოფურიშვილმა (ვორონცოვის ქ. № 6) დანით დასჭრა მოქ. მ. მაზანაშვილი. დაჭრილი მოთავსებულია საავადმყოფოში. ცოფურიშვილი დაპატიმრებულია და მიცემულია პასუხისგებაში.

ქურდის დაპატიმრება. ტროლეიბუსის ვაგონში დააპატიმრეს შ. მაჭავარიანი (მარის ქ. № 5), რომელმაც ერთერთ მგზავრს ფული მოჰპარა. ქურდი მიცემულია სამართალში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია ა.-წ. 7 ივლისს, საღამოს 8 საათზე, აწყობს

თბილისის მუშკორთა საქალაქო შეკრებას.

რედაქცია სთხოვს ჩვენი გაზეთის ყველა მუშკორებს, კედლის გაზეთების რედკოლეგიის წევრებს და საწარმოთა მრავალტირაჟიანი გაზეთების თანამშრომლებს დაუგვიანებლივ გამოცხადდნენ —ლენინის ქ. № 28, მე-3 სართული.

საქ. სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18 50

საზაფხულო თეატრი
3, 4, 5, 6, 7 ივლისს
ბუდმ. ადგ. ტალ № 36, 37, 38, 39, 40
ბ. ი. ბოკრუ-კრუპიშევის (მოსკოვი)
ჯაზ-ანსამბლის გასტროლები.
მონაწილეობენ კაზიმირა მალახოვა და სხვ. დასაწყისი საღამოს 9 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღ. 6 საათ. 11 საათამდე.

ღია ესტრადა
3 ივლისს
ესტრადის საღამოები
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5 და 6 ივლისს — პრემიერა
ლ. ჩიშკო
ჯავშნოსანი პოტიომკინი
დადგმა გ. ჟურულისა, მხატვარი პროფ. ი. შარლემანი
დირიჟორი აზმაიფარაშვილი.

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს
შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დაკავებაზე:

1. რუსული ენის კათედრა — პროფესორი ან დოცენტი
2. უცხო ენების კათედრა — გერმანულ ენაში დოცენტი, ფრანგულ ენაში დოცენტი.
3. რუსეთის ლიტ. ისტ. კათედრა — დოცენტი
4. მსოფ. ლიტ. ისტ. კათედრა — დოცენტი
5. ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის კათედრა — ადამიანის ანატომიაში—დოცენტი, ემბრიოლოგია-ჰისტოლოგიაში—დოცენტი.
6. ექსპერიმენტ. ფიზიკის კათედრა — დოცენტი
7. ფიზკულტურის კათედრა — ტანთვარჯიში—დოცენტი, ცივი იარაღის ხმარება—დოცენტი, ჯომარდ თამაშობა - დოცენტი.

კონკურსის ვადა 1939 წლის 15 აგვისტო.
ინსტიტუტი უზრუნველყოფს ბინით და გადიხდის გადმოსაყვან ხარჯებს.
განცხადებები კონკურსისათვის შესაბამისი დოკუმენტებით გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით:
ქ. ქუთაისი, კიროვის ქუჩა, № 55 დირექტორს.
222 დირექცია.

ცეკავშირის კოოპერატიული ტექნიკუმი აცხადებს მოწაფეთა მიღებას საბუღალტრო და საქონლისმცოდნეობის განყოფილებათა 1-ლ კურსებზე.

ტექნიკუმი ამზადებს ბუღალტრებს და საქონელმცოდნეებს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირებისათვის.
სწავლების ხანგრძლივობა სამი წელი ქართულ და რუსულ ენებზე.
მეცადინეობის დასაწყისი 1939 წლის 1 სექტემბერს.
ტექნიკუმში მიიღებიან მოქალაქენი 15-დან 30 წლის ასაკამდე საშუალო სკოლის 7 კლასის (შვიდწლედი) განათლებით.
ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ.
განცხადების მიღება სწარმოებს 1939 წლის 15 ივნისიდან 15 აგვისტომდე.
განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) განათლების (ატესტატის დედანი), ბ) დაბადების, ვ) ჯანმრთელობის, გ) სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების (სამხედრო ვალდებულთათვის), დ) ორი ფოტოსურათი შემომსვლელის საკუთარი ხელისმოწერით, დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ.
მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე პოლიტცოდნაში, მათემატიკაში, ქართულ და რუსულ ენებში და გეოგრაფიაში საშუალო სკოლის 7 კლასის მოცულობით.
ტექნიკუმში მიღებული უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში.
ტექნიკუმის მისამართი: თბილისი (ვაკე), მარის ქუჩა № 42.
ხ62 3—2 დირექცია.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული საშუალო მუსიკალური სკოლა-ათწლედი
ამით აცხადებს, რომ ათწლედში შემოსვლის შესახებ განცხადებათა მიღება იწარმოებს 25 აგვისტომდე ვიოლინოს, ჩელოს და სასულე ინსტრუმენტების კლასებში.
მისაღები გამოცდები 28 და 29 აგვისტოს.
განცხადებას უნდა დაერთოს: მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის მოწმობა და 2 ფოტოსურათი.
დაწვრილებითი ცნობები ათწლედის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ. № 8).
233 2—1 დირექცია

ვანო ბერიკაციშვილი მეუღლით შუშანათი, შვილით ენძელათი, ლიზა, სურენ, ვენერა თუმანოვები, თამარ, ჟორა კოკოზაშვილები იუწყებიან **პელაგია ივანეს-ასულ ჟულაბეგოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/VII, 5 ს. ერისთავ-ხოშტარიას ქ. 28, ვაკის სასაფლაოზე.

დამწუხრებული ბიძა ტარასი ფონია მეუღლით მარგოთი და შვილით ეთერით იუწყება ძვირფასი პატარა **ნელი გვაზავას** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/VII. გამოსვენება 5 საათზე, სოხუმის ქ. № 7.

პროკოფი, დარიკო, ნატა, თამარ, ვენერა, მადონა, ჟორჟიკა, შოთა ფირცხალაიშვილები, ავრორა სეფერთელაძე, თამარ ძნელაძე ქმარშვილით იუწყებიან საყვარელი ძმის და ბიძის **ტასო ფირცხალაიშვილის** გარდაცვალებას. 2366

მე-2 საშ. სკოლის პედკოლექტივი და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. მოსე ფირცხალაიშვილს მისი მეუღლის **ტასოს** გარდაცვალების გამო. 2772

მეუღლე სოფიო, შვილები გიორგი, პიჟიკო, კონსტანტინე, შერი, არჩილ, სიძე ა. გოგიტიძე, რძლები ნინა, ვერა, ვალია შვილიშვილები იუწყებიან **მიხეილ ისაკის-ძე ჭინჭარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VII, 8 ს. გამოსვენება 4/VII, 6 ს. ახალუბნის, 8, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. 2373

მეუღლე ევა შიოს-ასული, შვილები ირაკლი, ნინო, რძალი ლიუბა, შვილიშვილი თინული მწუხარებით იუწყებიან **ივანე ესტატეს-ძე დემურიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/VII, 7 ს. ნარიყალის ჩიხი, 4. გამოსვენება 4/VII, 5 ს. 2375

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ტროპიკული კათედრის და რკინიგზის კლინიკის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან თანამშრომელ ლუსია ოვანოვას მამის **სტეფანე ოვანოვის** გარდაცვალებას. 2376

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული—265